პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი | № 71 (11075) | სამშაბათი, 25 მარტი, 1958 წ. | ფასი 20 კაპ.

ადგილობრივი გაზეთების საღეჭისო ამოცანა

ჩვენს რესპუბლიკაში ფართოდ არის გაშლილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილების „საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის შესახებ“ და ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისების საყოველთაო-სახალხო განხილვა. სოფლისა და ქალაქის მშრომელები ერთსულოვნად იწონებენ ამ დოკუმენტებში დასახულ დიდმნიშვნელოვან ღონისძიებებს და გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ მათი განხორციელება ყოველმხრივ შეუწყობს ხელს სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებას, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ზრდას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის გადაწყვეტილებისა და ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისების ფართო მასებამდე დაყვანის, ყოველი მშრომელისათვის მათში მოცემულ დებულებათა განმარტების საქმეში უდიდესი როლი ეკუთვნის საბჭოთა პრესას, რომელიც ჩვენი პარტიის ყველაზე მძლავრი და ბასრი იდეური იარაღია.

ჩვენი გაზეთების ამოცანაა გასაგებად და დამაჯერებლად განუმარტონ მშრომელებს, რომ კოლმეურნეობათა საწარმოო-ტექნიკური მომსახურების ახლებურად მოწყობა დიდად შეუწყობს ხელს საკოლმეურნეო წარმოების შემდგომ მძლავრ აღმავლობას, სოფლის მეურნეობის ეკონომიკის მკვეთრ ზრდას, მატერიალური ღოვლათის სიუხვის შექმნას.

გაზეთებში უნდა იბეჭდებოდეს არა ზოგადი მოწოდებანი და დეკლარაციები, არამედ ღრმა, შინაარსიანი სტატიები, კორესპონდენციები, წინადადებანი და შენიშვნები, რომლებიც საქმის ცოდნით ასახავენ იმ დიდ ორგანიზატორულ მუშაობას, რასაც პარტიული და საბჭოთა ორგანოები ეწევიან მტს-ების რეორგანიზაციის განხორციელების მიზნით ყოველ ცალკეულ კოლმეურნეობაში, იმ თავისებურებათა და სპეციფიკის გულდასმით, დაკვირვებით შესწავლით, რასაც ადგილი აქვს თვითეული რაიონის ან კოლმეურნეობის კონკრეტულ პრაქტიკაში.

გაზეთებს არ უნდა გამორჩეთ მზედველობიდან, რომ მტს-ების დასახული რეორგანიზაცია დიდი და პასუხსაგები საქმეა, მას ფრთხილად უნდა მივუდგეთ. გაზეთების ამოცანა ის არის, რომ ფართოდ გააშუქონ აღნიშნული დოკუმენტების საყოველთაო-სახალხო განხილვის მიმდინარეობა, მიაღწიონ იმას, რომ თავიანთ აზრს გამოთქვამდნენ არა მარტო მტს-ის და საკოლმეურნეო წარმოების ხელმძღვანელი მუშაკები, არამედ აგრეთვე რიგითი მექანიზატორები, კოლმეურნეები.

ჩვენი რესპუბლიკის მრავალი გაზეთი კარგად აშუქებს ამ საყოველთაო-სახალხო განხილვის მიმდინარეობას. მაგალითად, გაზეთები „სოვეტსკაია აბხაზია“, „ბატუმსკი რაბოჩი“, მახარაძის რაიონული გაზეთი „ლენინის დროშა“ ამ საკითხზე აქვეყნებენ სპეციალურ გვერდებს, სტატიებს, საყურადღებო წინადადებებსა და შენიშვნებს, საინტერესო მასალებს, რომლებშიც თვალნათლივ ჩანს საბჭოთა ადამიანების დიდი ინტერესი კომუნისტური პარტიის მიერ დასახული უმნიშვნელოვანესი ამოცანის — მტს-ების რეორგანიზაციისა და საკოლმეურნეო წარმოების განმტკიცებისადმი. ეს კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, თუ როგორ მჭიდროდ არიან შედუღაბებული ხალხთა მასები თავიანთ მასწავლებელთან და წინამძღოლთან — ბრძენ კომუნისტურ პარტიასთან.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი რაიონული გაზეთი ჯერ კიდევ არასისტემატიურად, უღიმღამოდ და ზერელედ აშუქებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის მასალებს. მაგალითად, თეთრი წყაროს რაიონული გაზეთი „საკოლმეურნეო გზა“ დასჯერდა იმას, რომ ამ საკითხს მიუძღვნა სამიოდე ზერელე ინფორმაცია, რომლებშიც არც ერთი საყურადღებო წინადადება არ არის. რაზე უნდა წერდეს ამ ეტაპზე რაიონული გაზეთი, თუ არა პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის მასალებზე და ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებში დაყენებულ დიდმნიშვნელოვან საკითხებზე? ამ მხრივ „საკოლმეურნეო გზა“ გამონაკლისი არ არის. იმ რაიონული გაზეთების რედაქციებმა, რომლებიც სუსტად აშუქებენ მტს-ების მომავალი რეორგანიზაციის საკითხებს, საჭიროა მკვეთრად გარდაქმნან მუშაობა და ფართოდ ასახონ საკითხები, რომლებიც თვით ცხოვრებამ, სოციალისტური სასოფლო-სამეურნეო წარმოების პრაქტიკამ დააყენა დღის წესრიგში.

ახლა სოფლად ცხარე დღეებია. ჩაღდება საგაზაფხულო სამუშაოები, მთელ რიგ რაიონებში უკვე დაიწყო თესვა. რაიონული გაზეთების მოვალეობაა ხალისიანად და ოცცხლად გააშუქონ საკოლმეურნეო ტექნიკის სრულფასოვნად, მაღალი ეკონომიური ეფექტით გამოყენების საკითხები, ამასთან გაბედულად ამხილონ და გააკრიტიკონ ტექნიკისადმი გულგრილი, უყაირათო დამოკიდებულება.

თბილისის ს. მ. კიროვის სახელობის ჩარხმშენებელმა ქარხანამ ძვირფასი თაოსნობა გამოიჩინა. ამ ქარხნის კოლექტივმა შეფობა იკისრა გარეუბნის რაიონის სასოფლო-სამეურნეო არტელის „საბჭოთა საქართველოსადმი“ და სარემონტო-ტექნიკური სადგურისადმი. ეჭვი არ არის, რომ მოწინავე ქარხნები მიბაძავენ კიროველების საყურადღებო მაგალითს. საქალაქო და რაიონული გაზეთების ვალია ღრმად გააშუქონ მუშათა კლასის საკოლმეურნეო გლეხობისადმი დახმარების ეს კონკრეტული ფორმა.

ახლა, როცა ჩვენი ქვეყნის მშრომელები იბრძვიან პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, კიდევ უფრო იზრდება ადგილობრივი გაზეთების როლი. პარტიული კომიტეტების ყოველდღიური დახმარებითა და ხელმძღვანელობით მათ დიდი წვლილი უნდა შეიტანონ ამ ამოცანების გადაჭრაში.

ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი დ. ჰამარშელდი

24 მარტს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი დაგ ჰამარშელდი, რომელიც მოსკოვში იმყოფება, და საუბარი ჰქონდა მასთან.

საუბარს დაესწრნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, აგრეთვე სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრი ხ. კ. ცარაპკინი და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოს თანამშრომელი ლ. ფინმარკი.

(საკდესი).

ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო იტალიური გაზეთის „ტემპოს“ კორესპონდენტი ჯ. პალოცი

24 მარტს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო იტალიური გაზეთის „ტემპოს“ სპეციალური კორესპონდენტი ჯუზეპე პალოცი, მისი თხოვნით, და საუბარი ჰქონდა მასთან.

(საკდესი).

ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადა მოსკოვში

★ ★ ★

ქართული ხელოვნების ზეიმი

სულ რამდენიმე თვის წინათ თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრმა განახორციელა თანამედროვე ქართველი კომპოზიტორის ა. მაჭავარიანის ბალეტის „ოტელოს“ დადგმა. ლიბრეტო უ. შექსპირის ტრაგედიის მოტივების მიხედვით დაწერა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა, სტალინური პრემიის ლაურეატმა ვ. ჭაბუკიანმა. პირველი სპექტაკლიდანვე ბალეტი უდიდესი წარმატებით სარგებლობს. 24 მარტს ბალეტი „ოტელო“ პირველად უჩვენეს მოსკოველებს. სსრ კავშირის დიდი თეატრის დარბაზში მაყურებელთა შორის ბევრია საბჭოთა საოპერო, დრამატული და ქორეოგრაფიული ხელოვნების ცნობილი ოსტატი.

სპექტაკლმა განსაკუთრებული წარმატებით ჩაიარა.

ხელოვნებაკლს დაესწრნენ ამხანაგები ა. ბ. არისტოვი, ნ. ა. ბულგანინი, ა. ი. კირიჩენკო, ა. ი. მიქოიანი, ნ. ა. მუხიტდინოვი, ე. ა. ფურცევა, ნ. ს. ხრუშჩოვი, ა. ნ. კოსიგინი, ვ. პ. მჟავანაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები პ. ვ. კოვანოვი, გ. ი. ქადაგიძე, ი. ხ. დოლიძე, ფ. დ. დუმბაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე შ. დ. ჩუბინიძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. დ. ჯავახიშვილი. დარბაზში იყვნენ სსრ კავშირის კულტურის მინისტრი ნ. ა. მიხაილოვი და საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი დ. ა. ჩხეიძეშვილი.

საქართველოს დრამატული თეატრების ერთ-ერთი უველაზე საინტერესო სპექტაკლია ვ. ვიშნევსკის „ოპტიმისტური ტრაგედია“, რომელიც 24 მარტს აჩვენა შოთა რუსთაველის სახელობის თეატრმა. დამდგმელია რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ა. ჩხარტიშვილი.

ა. მარჯანიშვილის სახელობის თეატრში 24 მარტს წარმატებით ჩაიარა უ. შექსპირის ტრაგედიის „რიჩარდ III“ პირველმა წარმოდგენამ, ხოლო ა. გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამის თეატრში მოსკოველებმა კვლავ ნახეს სპექტაკლი ვ. დარასელის „კიკვიძე“.

მდიდარი და მრავალფეროვანია საქართველოს სიცოცხლე ფილარმონია. მისი შემგროვებელი და დამცველია ხალხური ცეკვის დამსახურებული ანსამბლი. 24 მარტს ჩაიკოვსკის სახელობის დარბაზში გამართულ კონცერტზე ანსამბლმა უჩვენა დეკადისათვის მომზადებული ვრცელი პროგრამა.

კონცერტზე კონსერვატორიის დიდ დარბაზში მოსკოველები გაეცნენ საქართველოს ფილარმონიის კიდევ ორ კოლექტივს — სიმფონიურ ორკესტრსა და კაპელას. მათმა ოსტატობამ მაღალი შეფასება მიიღო. (საკდესი).

სსრ კავშირის სახალხო არტისტი ვახტანგ ჭაბუკიანი — ოტელო.

ფოტო გ. უმნოვისა.

კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში

მოსკოვი, 22 მარტი. (საქდესის სპეც. კორ.). დღეს კავშირების სახლის ვრცელ სვეტებიან დარბაზში გაიხსნა დეკადის ლიტერატურული ნაწილი. დარბაზში შეიკრიბა ორი ათასამდე სტუმარი—დედაქალაქის საწარმოთა მოწინავენი, მეცნიერები, მწერლები, მსახიობები, სტუდენტი ახალგაზრდობა. დამსწრეთა ტაშის გრიალში პრეზიდიუმში ადგილებს იკავებენ ამხანაგები ვ. პ. მჟავანაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, შ. დ. ჩუბინიძე, თვალსაჩინო საბჭოთა ლიტერატორები, საქართველოს მწერლები.

საღამო გახსნა რუსეთის სფსრ მწერალთა კავშირის საორგანიზაციო ბიუროს თავმჯდომარემ ლ. სობოლევმა, რომელიც მხურვალედ მიესალმა დეკადის მონაწილეებს — მწერლებსა და პოეტებს და მათი სახით მთელ ქართველ ხალხს. — მსოფლიოში მოწინავე საბჭოთა ლიტერატურის ძალა, — ამბობს ლ. სობოლევი, — მისი განუყრელი კავშირი ხალხთან. საბჭოთა ლიტერატორების დიდ ოჯახში ღირსეული ადგილი უკავიათ ქართველ მწერლებს, რომლებმაც შექმნეს ბევრი მხატვრული ნაწარმოები, სიმართლით რომ ასახავენ საბჭოთა ადამიანების — კომუნიზმის მშენებლების შემოქმედებითს შრომას. ამ ნაწარმოებებს საპატიო ადგილი უკავიათ საბჭოთა ლიტერატურის საგანძურში.

საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანმა ი. აბაშიძემ ილაპარაკა რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობის ისტორიულ ფესვებზე, რუსეთ-საქართველოს უძველეს კულტურულ ურთიერთობაზე. მოკლედ შეეხო რა ქართული საბჭოთა ლიტერატურის — შესანიშნავი კულტურული ტრადიციების მემკვიდრისა და განმგრძობის განვითარების გზებს, ი. აბაშიძემ აღნიშნა წარმატებანი, რომლებითაც ქართველი მწერლები მოვიდნენ დიდ შემოქმედებითს ანგარიშზე — მშობლიური ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადაზე.

შემდეგ გამოდის საქართველოს სახალხო პოეტი გალაკტიონ ტაბიძე. შეკრებილნი მხურვალე ტაშით აჯილდოებენ მას, როცა მან წაიკითხა ახალი ლექსი „დეკადის დროშები“, რომელიც ეძღვნება მეგობრობის სასიხარულო დღესასწაულს, საბჭოთა კულტურის დღესასწაულს, ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადას. პოეტმა პ. ანტოკოლსკიმ წაიკითხა გ. ტაბიძის ლექსის „ჩვენი მაისის“ თარგმანი.

გულთბილად შეხვდნენ ქართველ პოეტებსა და მწერლებს გ. აბაშიძეს, მ. ბარათაშვილს, ი. გრიშაშვილს, ა. გომიაშვილს, შ. დადიანს, კ. კალაძეს, გ. ლეონიძეს, რ. მარგიანს, ა. მირცხულავას, ი. ნონეშვილს, ს. ჩიქოვანს. პოეტებმა ნ. ზაბოლოცკიმ, ვ. დერჟავინმა ე. ევტუშენკომ და სხვებმა შეკრებილთ გააცნეს ქართული პოეზიის საუკეთესო ნიმუშები, თარგმნილი რუსულ ენაზე..

ლიტერატურული საღამოს დასასრულს გაიმართა დიდი კონცერტი.

შეუნელებელი წარმატებით

მოსკოვი, 24 მარტი. (საქდესის სპეც. კორ.). მესამე დღეა გრძელდება ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადა. მოსკოველები და დედაქალაქის სტუმრები სულ უფრო მეტ ინტერესს იჩენენ ქართველი ხალხის კულტურული მიღწევების გაცნობისადმი.

სსრ კავშირის დიდი თეატრის სცენაზე ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის კოლექტივმა აჩვენა პ. ჩაიკოვსკის ოპერა „ორლეანელი ქალწული“. სპექტაკლს დირიჟორობდა საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ო. დიმიტრიადი.

მთავარ როლებს ასრულებდნენ: საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ლ. გოცირიძე (იოანა), საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ა. ჩაკალიდი (მეფე) და სხვები.

სპექტაკლის მონაწილეებმა შეძლეს მსმენელებისათვის გასაგები გაეხადათ დიდი რუსი კომპოზიტორის მუსიკის მომხიბვლელობა, ეჩვენებინათ ნაწარმოების გმირთა სახეები.

რუსთაველის სახელობის თეატრმა მაყურებლებს დილისა და საღამოს სპექტაკლებზე უჩვენა სოფოკლეს ტრაგედია „ოიდიპოს მეფე“. დარბაზი მხურვალედ მიესალმა ნიჭიერ ახალგაზრდა მსახიობს, მეფის როლის შემსრულებელს ე. მანჯგალაძეს, საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტს თ. თარხნიშვილს (იოკასტე). სტალინური პრემიის ლაურეატს ვ. დოლიძეს (კრეონტი).

საღამოს სპექტაკლზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მაყურებლებზე მეფის როლის შემსრულებელმა საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა ს. ზაქარიაძემ, რომელიც ტაშით დაჯილდოვეს. მისი ღირსეული პარტნიორები იყვნენ საქართველოს სსრ სახალხო არტისტები თ. ბაქრაძე (იოკასტე), გ. საღარაძე (კრეონტი) და სხვები.

მარჯანიშვილის თეატრმა დადგა მ. ბარათაშვილის პოპულარული კომედია „მარინე“. პიესის მწვავე კომედიური სიტუაციები, კომედიური ჟანრის საუკეთესო მსახიობთა მონაწილეობა, კარგი დადგმა დიდად დააფასეს მოსკოველმა მაყურებლებმა. ისინი დიალოგებს ისმენდნენ რუსულ ენაზე და ამისათვის სარგებლობდნენ რადიოფიცირებულ დარბაზში მოწყობილი ყურსასმენებით.

განსაკუთრებით გულთბილად მიიღეს საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი მ. ჯაფარიძე მარინეს როლში, საქართველოს სსრ სახალხო არტისტები ა. კვანტალიანი (ნიკიფორე), ც. თაყაიშვილი (ეფროსინე), ა. ჟორჟოლიანი (ფოსტალიონი).

გრიბოედოვის სახელობის თეატრის მსახიობებმა დღისით აჩვენეს ვ. დარასელის „კიკვიძე“, საღამოს — ს. ლესკოვის ნაწარმოები „მფლანგველი“. პიესაში მთავარ როლებს ასრულებდნენ საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტები ი. რუსინოვი (მოლჩანოვი), ნ. ბურმისტროვა (მარია), საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ა. ზაგორსკი (მიაკიშევი) და სხვები. დადგმის ავტორია — რუსეთის სფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ე. ბრილი, მხატვარი — ე. დონცოვა.

წარმატებით გამოდიან საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული კოლექტივები.

სპექტაკლებს დაესწრნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ბ. არისტოვი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პ. მჟავანაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. დ. ჯავახიშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. დ. ჩუბინიძე.

ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადის მონაწილე მწერლები (მარცხნიდან მარჯვნივ) გ. აბაშიძე, ხ. შანშიაშვილი, ი. აბაშიძე, ხ. ჭილაია, ა. მირცხულავა, ა. ქუთათელი, ი. გრიშაშვილი.

ფოტო ვ. სავოსტიანოვისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

მოსკოველები მოხიბლა „ოტელომ“

დიდი გამარჯვება

ქართული ხალეტო ხელოვნების ტრიუმფი — სხვანაირად არ შეიძლება ვუწოდოთ ბალეტ „ოტელოს“ დადგმას თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში. აღფრთოვანებით უყურებ შექსპირის ამ დიად ნაწარმოებს, იგი ხომ ტრაგედიაა, მაგრამ ამისდამიუხედავად მასში არის რაღაც ცხოველმყოფელი, რაც უზომოდ ახარებს, ამხნევებს მნახველს.

საბჭოთა საბალეტო ხელოვნების ფენომენი — ვახტანგ ჭაბუკიანი შეუდარებელია ოტელოს როლში. ოტელოს იგი ანსახიერებს როგორც დიდებულებოვან ადამიანს, ფაქიზი გრძნობებითა და შინაგანი კეთილშობილებით აღსავსეს. მის ოტელოში ჩაქსოვილია უბრალო ადამიანის მოიმიტობა, რომელიც ახე ინადირებს მაყურებლის გულს. ჭაბუკიანის ცეკვა ტემპერამენტულია, აღსავსეა კეთილშობილური ხისადგეთ, ტექნიკურად ვირტუოზულია.

ჩვენ, მოსკოველ მზახიობებს უზომოდ გვახარებს ქართველი მეგობრების ახეთი დიდი შემოქმედებითი წარმატება.

ვერა მარეცკაია,
სსრ კავშირის სახალხო არტისტი.

მაღლობა ქართველ ხალხს

ბალეტალი დიდი წარმატებით წავიდა. არამარტო რიგითი მაყურებელი, არამედ დიდი თეატრის მთელი სახალეტო დასი თავის აღფრთოვანებას გამოხთქვამს! ვერავითარი ქება, ვერავითარი ეპითეტი ვერ გამოხატავს იმ უდიდეს ესთეტურ სიამოვნებას, რომელიც მაყურებელს ბალეტმა „ოტელომ“ განაცდევინა.

ვახტანგ ჭაბუკიანის მიერ განსახიერებული მავრი შეუდარებელია. უდიდეს უბრალოებას, სისადავეს, ბავშვურ გულუბრყვილობას, შეხამებულს სიბრძნესთან, გამოხატავს მისი ოტელო.

ბრწყინვალეა ჯ. ნიგნაძე-დეზდემონა. სინაზითა და ბერიოვნებით აღსავსე, იგი მართლაც გვიხატავს შექსპირის გმირის სიფაქიზეს და უმანკოებას.

იაგოს ცბიერ და ბოროტ ბუნებას შესანიშნავად გადმოგვცემს სახალეტო ენით ზ. კიკალეიშვილი.

დიდების ღირსია ქართველი ხალხი, რომელმაც შექმნა ახეთი მაღალნიჭიერი, მარად დასამახსოვრებელი ბალეტი.

მაია პლისეცკაია,
რსფსრ სახალხო არტისტი.

საბჭოთა ბალეტის სიამაყე

დიდი ინგლისელი დრამატურგის უ. შექსპირის ნაწარმოებნი ფართოდ იდგმება საბჭოთა თეატრების სცენებზე. ჩვენი საზოგადოებრიობისათვის კარგად არის ცნობილი ტრაგედია „ოტელო“. ამ ნაწარმოების ახალი ორიგინალური წაკითხვა ქორეოგრაფიული ენით, — აი რა ახასიათებს ჭაბუკიანის მიერ დადგმულ სპექტაკლს.

სახიხარულოა აღინიშნოს, რომ კომპოზიტორ ა. მაჭავარიანის შემოქმედებითი დიაპაზონი სულ უფრო ფართოვდება. ბალეტის მუსიკა უაღრესად მელოდიურია და ამავე დროს შესანიშნავად გამოხატავს იმ ეპოქის სულს, რომელშიაც მოქმედებენ შექსპირის გმირები. განსაკუთრებით მინდა შევჩერდე ბალეტის უაღრესად მაღალმხატვრული გემოვნებით გაკეთებულ, პოეტურ დეკორაციებზე, რომლებიც გამოჩენილ საბჭოთა თეატრალურ მხატვარს ხ. ვირსალაძეს ეკუთვნის. ჩვენ აქამდეც ვიცნობდით მას, როგორც ერთ-ერთ უნიჭიერეს დეკორატორს, მაგრამ ამ ნამუშევრით მან ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

სპექტაკლის წარმატება მნიშვნელოვნად განპირობა ბალეტის ჯადოქარმა — სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ვ. ჭაბუკიანმა და მის მიერ აღზრდილმა ქართულმა საბალეტო კოლექტივმა. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ქართულმა ხელოვნებამ დეკადაზე მაღალი კლასი გვიჩვენა.

ბალეტი „ოტელო“ არა მარტო ქართული, არამედ მთელი საბჭოთა საბალეტო ხელოვნების სიამაყეა.

არამ ხაჩატურიანი,
კომპოზიტორი.

ქართული ბიბლიოთეკა

საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის საკითხის საყოველთაო-სახალხო განხილვა

თერჯოლის რაიონის სოფ. ეწერის კალინინის სახელობის კოლმეურნეობას პირველს გადაეცა რაიონში თერჯოლის მტს-იდან ტრაქტორები და სხვა საჭირო სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა.

ხურათზე: მტს-ის დირექტორი დ. გიორგაძე აბარებს ეწერის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ზ. ამულაძეს სასოფლო-სამეურნეო იარაღების ტექნიკურ პასპორტებს.

ფოტო ბ. ლუცენკოსი (საქდესის ფოტოქრონიკა).

ახალი დიდი ნაბიჯი საკოლმეურნეო წყობილების განვითარების გზაზე

უმაგალითო პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობის ვითარებაში განიხილავენ გურჯაანის რაიონის მშრომელები სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის დადგენილებას და ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებს საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის შესახებ.

შარშან გურჯაანელმა კოლმეურნეებმა უდიდესი აღმავლობით განიხილეს მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნის საკითხები. ამჟამად კი უფრო მეტ აქტივობას იჩენენ, რადგან საქმე საკოლმეურნეო წყობილების შემდგომ განვითარებას, უშუალოდ მათ ცხოვრებას ეხება. ამ დღეებში კოლმეურნეობაში თუ მანქანა-ტრაქტორთა სადგურში, საწარმოებში თუ დაწესებულებებში, ყველგან უდიდესი აღმავლობით განიხილავენ პლენუმის დადგენილებას და ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებს. დიდი აღმავლობის ვითარებაში ჩატარდა ამ ისტორიული მნიშვნელობის დოკუმ ე ნ ტ ე ბ ი ს განხილვისადმი მიძღვნილი ხალხმრავალი კრებები. ასეთი კრებები გაიმართა გურჯაანის და ველისციხის მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში და რაიონის კოლმეურნეობებში. კრებების მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიწონეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის დადგენილება და სავსებით დროულად და სწორად ცნეს პარტიის მიერ დასახული ღონისძიებები. მშრომელთა უდიდეს აღფრთოვანებას იწვევს ის, რომ, ისევე როგორც ყველა სხვა დიდმნიშვნელოვანი საკითხის გადაჭრისას, ახლაც პარტია ეკითხება ხალხს, მოუწოდებს გამოთქვას თავისი აზრი და წინადადებანი. წინადადებები კი ძალიან ბევრი შემოდის, რომელთა საერთო აზრი და მიზანია განხორციელდეს მანქანა-ტრაქტორთა სადგურებ ის რეორგანიზაცია, გადაეცეს კოლმეურნეობებს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, რათა უფრო სრულად იქნას იგი გამოყენებული.

სოფელ კარდანახის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებაზე ამ კოლმეურნეობის თავმჯდომარემ შ. გულაშვილმა თქვა:

— ჩვენი კოლმეურნეობა საკმაოდ ძლიერია ეკონომიურად და ორგანიზაციულად, გვყავს აგრეთვე მაღალკვალიფიციური კადრები. კოლმეურნეობას შეუძლია შეიძინოს გურჯაანის მტს-ის მერვე სატრაქტორო ბრიგადის მთელი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა. ეჭვი არ არის, რომ კოლმეურნეობა უფრო სრულად და ნაყოფიერად გამოიყენებს ამ ტექნიკას.

სოფელ ვაზისუბნის კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებაზე გადაწყდა ველისციხის მტს-იდან შეიძინონ 7 ტრაქტორი, 2 კომბაინი, 3 სათესი მანქანა და მთელი რიგი სხვა მსხვილი და წვრილი მისაბმელი იარაღ-მანქანები. ამასთან კოლმეურნეებმა წინადადება წამოაყენეს მტს-მა გასცეს ზოგიერთი ჩარხი და დანადგარი, რათა თვით კოლმეურნეობაში მოეწყოს მარტივი ტიპის შემკეთებელი სახელოსნო.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის დადგენილება და ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისები ასევე დიდი აქტივობით განიხილეს აგრეთვე სოფელ გურჯაანის ოქტომბრის რევოლუციის სახელობის, სოფელ ველისციხის სტალინის სახელობის, სოფელ ბაკურციხის და სხვა კოლმეურნეობების მშრომელებმა, მტს-ების მუშა-მოსამსახურეებმა. ამასთან წამოაყენეს მთელი რიგი საქმიანი წინადადებები. ამ წინადადებათა საერთო აზრი ის არის, რომ მოხდეს რაიონში არსებული ორივე მანქანა-ტრაქტორთა სადგურის რეორგანიზაცია, ამასთან შეიქმნას სარემონტო-ტექნიკური სადგური.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაცია პარტიული და საბჭოთა ორგანოებისაგან მოითხოვს დიდ ორგანიზატორულ მუშაობას, ყოველ კოლმეურნეობაში საქმის მდგომარეობის ყურადღებით შესწავლას, კონკრეტულ თავისებურებათა გულდასმით გათვალისწინებას.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურების დასახული რეორგანიზაცია ახალი დიდი ნაბიჯია საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარების გზაზე. გურჯაანის რაიონის ჩიდმეტივე კოლმეურნეობა იმდენად მდიდარია კადრებით — მექანიზატორებითა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებით, რომ ყველა არტელს შეუძლია რაციონალურად გამოიყენოს ტექნიკა, გონივრულად განახორციელოს საჭირო ღონისძიებანი სასოფლო-სამეურნეო წარმოების ასამაღლებლად.

ახალ პირობებში ახალი ამოცანები ისახება სოფლის პირველადი პარტიული ორგანიზაციების წინაშე. სოფლის კომუნისტები კიდევ უფრო ამაღლებენ თავიანთ როლს საკოლმეურნეო წარმ ო ე ბ ა ში, ზრუნავენ პარტიული მუშაობის უფრო ქმედითი და მოქნილი ფორმების გამოსანახავად. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს ახალი პატრონის ლში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის უფრო სრულად გამოყენებას. ამასთან დაკავშირებით საჭიროდ მიგვაჩნია კოლმეურნეობებში გვყავდეს პარტბიუროს განთავისუფლებული მდივნები, პირველ რიგში იქ, სადაც კომლთა რიცხვი რამდენიმე ასეულს აღწევს. დასამალავი როდია, რომ პარტიული ორგანიზაციის ბევრი ხელმძღვანელი, რომელსაც ამასთან ერთად ესა თუ ის პასუხსაგები სამუშაო აქვს დაკისრებული კოლმეურნეობაში, ყოველთვის ვერ ახერხებს ღრმად ჩასწვდეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკას.

პარტიის რაიონული კომიტეტი, პირველადი პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც დიდ მუშაობას ეწევიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის დადგენილებისა და ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისების საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის, მშრომელთა წინადადებების შეგროვებისა და გულდასმით შესწავლისათვის, ახლა მთელ ძალებს რაზმავენ საკოლმეურნეო მინდვრებსა და ვენახებში საგაზაფხულო სამუშაოთა მაღალ აგროტექნიკურ დონეზე ჩატარებისათვის, სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით განხორციელებისათვის. გურჯაანის რაიონის მშრომელები კომუნისტური პარტიის დაუცხრომელ ზრუნვას საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისათვის ახალი შრომითი გამარჯვებებით უპასუხებენ.

ა. დავითაშვილი,
საქართველოს კპ გურჯაანის რაიკომის პირველი მდივანი.

★

გამსვლელი სამეცნიერო კონფერენცია

ამ დღეებში წითელწყაროს რაიონის კულტურის სახლში მოეწყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის გამსვლელი სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის შედეგებისა და ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისების განხილვას.

ინსტიტუტის სოფლის მეურნეობის ეკონომიკის განყოფილების გამგემ, ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატმა ა. ნუცუბიძემ და უფროსმა მეცნიერ თანამშრომელმა, ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატმა კ. ღოღობერიძემ წაიკითხეს მოხსენებები თემებზე: „სოციალისტური სოფლის მეურნეობის მიღწევები და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაცია“ და „მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის გზები საქართველოს სს რესპუბლიკაში“.

კონფერენციაზე მოხსენებით თემაზე — „კოლმეურნეობებისათვის მანქანა-ტრაქტორთა სადგურების ტექნიკის გადაცემის პროგრესული მნიშვნელობა“ — გამოვიდა სოფელ არბოშიკის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის მონაწილე ა. გონაშვილი.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე სოფელ ზემო ქედის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის აგრონომმა ი. საბაშვილმა, ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერ თანამშრომელმა ვ. კახეთელიძემ, ლაბა წითელწყაროს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირმა ფ. ქვანჭიოლაშვილმა და სხვებმა.

ეკონომიური კონფერენციის მონაწილეებმა წამოაყენეს საკოლმეურნეო წარმოების აღმავლობისათვის ბევრი საყურადღებო წინადადება.

ჯ. ხვადაქე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

მომარაგების საკითხი უნდა მოწესრიგდეს

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყოველდღიური მზრუნველობის შედეგად კოლმეურნეობები საკმაოდ აღიჭურვნენ მძლავრი ტექნიკით. ამჟამად მარტო ჩვენი კოლმეურნეობის განკარგულებაშია 6 ავტომანქანა, ელექტროწისქვილი, ნახევრად მექანიზებული ფერმები, სახეხი საამქრო და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების რამდენიმე მანქანა. მაგრამ საბურავების, რესორებისა და სხვა წვრილმანი სათადარიგო ნაწილების უქონლობის შედეგად სამი ავტომანქანა დიდი ხანია უქმად დგას. ასევე მოძრავი ნაწილების გაცვეთის გამო აღარ მუშაობს სილოსის საპრელი მანქანა, ფერხდება ელექტროწისქვილის ნორმალური მუშაობა.

აღნიშნული მანქანების სათადარიგო ნაწილები ძვირი არ არის, კოლმეურნეობას შეუძლია მათი შეძენა, მაგრამ მაღაზიებში გასაყიდად არ იშოვნება.

სათადარიგო ნაწილებით კოლმეურნეობების მომარაგება ერთ-ერთი მეტად მტკივნეული საკითხია.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ თუ მომარაგების საკითხი ახლავე არ მოწესრიგდა, მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდება, კოლმეურნეობა შეუფერხებლად ვერ გამოიყენებს მტს-ებიდან დამატებით მიღებულ ტრაქტორებსა და სხვა მანქანებს.

საჭიროა ამ საკითხის დროულად გადაწყვეტა, სანამ საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები უფრო გაჩაღდებოდეს.

ბ. კუბლაშვილი,
ტყიბულის რაიონის სოფელ სოჩიხეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

კოლმეურნეობათა შემდგომი განმტკიცების სწორი გზა

საკოლმეურნეო წყობილების თანამედროვე ეტაპზე მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაცია წინგადადგმული დიდი ნაბიჯია. ტექნიკის გამოყენების დღემდე არსებული წესი ნამდვილად ვერ უზრუნველყოფს კოლმეურნეობათა შემდგომ აღმავლობას, ზოგიერთ შემთხვევაში კი ხელსაც უშლის ადგილობრივი ინიციატივის გაშლას და ახალი რეზერვების გამონახვა-გამოყენებას.

მუშაობას ნაკლი განსაკუთრებით შესამჩნევია ჩვენთან, ბათუმის რაიონში, რომელსაც ქობულეთის მანქანა-ტრაქტორთა სადგური ემსახურება. იგი 40 კილომეტრით არის დაშორებული რაიონს და მხოლოდ შემთხვევიდან შემთხვევამდე გზაზის თავის ტექნიკას ჩვენს კოლმეურნეობებში, ისიც არა საჭიროების მიხედვით, არამედ წინასწარ შედგენილი „გრაფიკით“. ჩვენი კოლმეურნეობის მიწების თავისებურება მოითხოვს, რომ ტრაქტორი, სათესი ~~და~~ სხვა საჭირო მანქანა ჩვენ გვქონდეს და როგორც გვსურს ისე დავამუშაოთ მიწა. ამას დღემდე მოკლებული ვიყავით. ამიტომ არის, რომ სამინდის მოსავლიანობა ზოგჯერ კარგია, ხოლო ზოგჯერ — დაბალი. ხშირად უამინდობის გამო ტრაქტორი მომცდარია. სხვა სამუშაოზე მისი გამოყენებისათვის საჭიროა ნებართვა „ზემოდან“ და სხვ. ასეთი შეუსაბამობა ხშირად ბევრ გაუგებრობას წარმოშობს.

მინდა მოვიყვანო ერთი მაგალითი ჩვენი კოლმეურნეობის ცხოვრებიდან: ცეკავშირმა აჭარაოოკავშირის ბათუმის ბაზაში 1955 წელს შემოიტანა „ხტზ-7“ მარკის ტრაქტორები. აქედან ერთი ცალი ერთ-ერთმა პირველმა ჩვენმა კოლმეურნეობამ შეიძინა. აღნიშნული ტრაქტორი აგრეგატირებული იყო ხუთი სხვადასხვა სახის საკიდი მანქანებით (ბუთანი, სათიბი მანქანა, კულტივატორი, მინერალური სასუქის შემტანი და ციტრუსების შესაწამლი მანქანები). სულ მისმა ღირებულებამ 30.000-მდე მანეთი შეადგინა. თუმცა ამ ტრაქტორს მხოლოდ ციტრუსების შეწამვლაზე ვიყენებდით, მაგრამ მაინც დიდი ეკონომია მოგვცა. კერძოდ, ციტრუსების წამლობა მანქანა-ტრაქტორთა სადგურის აგრეგატით წლის განმავლობაში 18-20 ბოთლი მანეთი გვჯღდებოდა, ახლა კი ჩვენი ტრაქტორით, სამორტიზაციო ღირებულების ჩათვლით, დაახლოებით ამის ნახევარი გვიჯღდება, სამუშაოსაც საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში ვასრულებთ.

ტრაქტორებისა და სხვა საჭირო იარაღ-მანქანების კოლმეურნეობებისათვის გადაცემა კიდევ უფრო გააიაფებს პროდუქციას, გაუმჯობესებს ხარისხს და ეკონომიურად ეფექტიანი იქნება.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ გათვალისწინებულ უნდა იქნას თვითეული კოლმეურნეობის მოთხოვნილება მანქანების კომპლექტებზე და არ მოხდეს ისე, რომ კოლმეურნეობებს გადასცენ მანქანები, როგორც „იძულებითი ასორტიმენტი“. არ უნდა გამეორდეს ისეთი ფაქტი, რომ ცეკავშირმა 1955 წელს „ხტზ-7“ ტრაქტორის კომპლექტში მოგვყიდა გუთანი, კულტივატორი და სათიბი მანქანა, რომლებიც ჩვენს პირობებში არ გამოდგა და უქმად გვიდგას.

სავსებით მიზანშეწონილია, შეიქმნას ტრაქტორებისა და სხვა მანქანების სარემონტო სახელოსნოები და მათვე დაეკისროთ ყოველგვარი მანქანების შეკეთება, სათადარიგო ნაწილების შემოზიდვა და კოლმეურნეობათა უზრუნველყოფა საწვავ-საცხები მასალებით კოლმეურნეობათა განაცხადების საფუძველზე.

დიდგა დრო, როცა სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის ბრძოლის მეთოდები ძირითადად შემუშავებულ უნდა იქნას არა ცენტრში, არამედ ადგილებზე — კოლმეურნეობებში, მინდვრებზე.

ი. წივწივაძე,
ბათუმის რაიონის სოფელ ანგისის ბელოზერკის სახელობის კოლმეურნეობის ოცდაათათასელი თავმჯდომარე, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი.

პარტიისა და მთავრობის მითითებების შესასრულებლად

ბავშვებს ექნებათ მეტი და ნაირნაირი ჯანსაცმელი და ფეხსაცმელი

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებამ ბავშვის ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის წარმოების გადიდების, ასორტიმენტის გაფართოებისა და ხარისხის გაუმჯობესების შესახებ ფართო გამოხმაურება და საყოველთაო მოწონება გამოიწვია მოსახლეობაში.

რა ღონისძიებებია დასახული საქართველოს მსუბუქი მრეწველობის მუშაკების მიერ, რა კითხვებია იმისათვის, რომ საწარმოთა კოლექტივებმა გამოუშვან მეტი და უკეთესი ხარისხის, ნაირნაირი ასორტიმენტის საბავშვო ტანსაცმელი და ფეხსაცმელი? ყოველივე ამის შესახებ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მსუბუქი მრეწველობის სამმართველოს უფროსმა ამხ. გ. რობაქიძემ ჩვენს თანამშრომელთან საუბარში განაცხადა:

— ჯერ კიდევ გასული წლის მიწურულში, როდესაც ახალი სამეურნეო წლისათვის ვემზადებოდით, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მთავრობის მითითებებით მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში განვახორციელეთ მრავალი ღონისძიება საბავშვო ნაწარმის ასორტიმენტის გასაფართოებლად და ხარისხის გასაუმჯობესებლად. მაგალითად, თბილისის პირველ სამკერვალო ფაბრიკაში 5 საამქროდან ორი გადავიყვანეთ გოგონებისა და ბიჭების პალტოების შეკერვაზე. საბავშვო ტანსაცმლის გამოშვების გეგმა 1958 წლისათვის 20 მილიონი მანეთით გავადიდეთ.

ამრიგად, პარტიისა და მთავრობის ამ ახალი დადგენილების შესრულებისათვის, ბავშვის ტანსაცმლის წარმოების გადიდებისათვის ნიადაგი უკვე მომზადებული გვაქვს, მაგრამ ამას როდი ვჯერდებით. ამჟამად ვამუშავებთ ახალ ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებებს საბავშვო ნაწარმის გამოშვების კიდევ უფრო გადიდებისათვის. გადაწყვეტილი გვაქვს მოკლე ხანში დავამთავროთ თბილისის მე-6 სამკერვალო ფაბრიკის რეკონსტრუქცია, სულ ცოტა 30 პროცენტით გავადიდოთ ამ საწარმოს სიმძლავრე, გავმართოთ იქ ახალი აგრეგატები საბავშვო ტანსაცმლის გამოსაშვებად. გადაწყვეტილია აგრეთვე პირველი სამკერვალო ფაბრიკა აღვჭურვოთ ახალი ტექნიკით და იქ მოვაწყოთ ორი სპეციალიზებული საამქრო საბავშვო ტანსაცმლის გამოსაშვებად და ამასთან შევუდგეთ მუშაობას რუსთავსა და სოხუმში ახალი მძლავრი სამკერვალო ფაბრიკების ასაგებად.

საქართველოს მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა მუშაკებს სჭირდებათ ჩვენიდან რესპუბლიკის საფეიქრო მრეწველობის მუშაკთა დახმარება. საქმე ის არის, რომ ამ 25 არტიკულის შალის ქსოვილებიდან, რომლებსაც სამკერვალო მრეწველობა ბავშვის ტანსაცმლის შესაკერავად იყენებს, საქართველოს საფეიქრო მრეწველობა გვაძლევს მხოლოდ ერთი არტიკულის ქსოვილს. დანარჩენი არტიკულების ქსოვილები სხვადასხვა რესპუბლიკებიდან შემოგვაქვს. ეს ართულებს მომარაგებას, იწვევს თვითღირებულების ზრდას, რაც ხელს გვიშლის მუშაობაში. ამავე დროს რესპუბლიკის საფეიქრო მრეწველობას ყველა პირობა აქვს იმისათვის, რომ ბევრად გააფართოოს ქსოვილების ასორტიმენტი.

რაც შეეხება საბავშვო ფეხსაცმელს, ამ მხრივ რესპუბლიკაში უკეთესი მდგომარეობა გვაქვს. ბოლო დროს ბავშვის ფეხსაცმლის გამოშვება საგრძნობლად გადიდდა, სავაჭრო ქსელში უკვე გამოჩნდა ბავშვის ნაირნაირი ფეხსაცმელი. მაგალითად, გასულ წელს წინა წელთან შედარებით გამოშვებულ იქნა 541.000 წყვილით მეტი საბავშვო ფეხსაცმელი, ხოლო წელს დაგეგმილია ბავშვთა ფეხსაცმლის გამოშვების დამატებითი ზრდა 657.000 წყვილით.

ამისათვის თბილისის ფეხსაცმლის მეორე ფაბრიკა მთლიანად გადაყვანილია საბავშვო ასორტიმენტის ფეხსაცმლის გამოშვებაზე. ფეხსაცმლის პირველ ფაბრიკაში საბავშვო ფეხსაცმლის ყოველდღიურ გამოშვებას ვზრდით 2.300 წყვილამდე, ვაწყობთ სპეციალიზებულ საამქროებს სოხუმის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატთან, ბათუმის ფეხსაცმლის ფაბრიკასთან, მთელი რიგ სხვა საწარმოებთან. ამასთან მიღებულია ზომები საზღვაპირო ტყავების ასორტიმენტის გაფართოებისათვის.

სახალხო მეურნეობის საბჭოს მსუბუქი მრეწველობის სამმართველოს გადაწყვეტილი აქვს თბილისში გახსნას მოდელური საბავშვო ფეხსაცმლის ინდივიდუალური შეკერვის ატელიე.

საქართველოს მეფეხსაცმელე-მოდელიერებმა დაამუშავეს საბავშვო ფეხსაცმლის მრავალი ახალი მოდელი. ამ მოდელების მიხედვით შეკერილმა ხაზამთრო, საგაზაფხულო და საზაფხულო ფეხსაცმლის ნიმუშებმა საერთო მოწონება დაიმსახურა. ფაბრიკები უკვე შეუდგნენ ახალი მოდელების მიხედვით საბავშვო ფეხსაცმლის გამოშვებას.

ნორჩ მომხმარებლებს — ფაქიზი მომსახურება

რესპუბლიკის სავაჭრო ქსელში უკანასკნელ ხანს მეტი გამოჩნდა ფართო მოხმარების საქონელი. მაღაზია „ბავშვთა სამყარომ“ 1957 წელს გაყიდა 1,55 მილიონი მანეთით მეტი ღირებულების საქონელი, ვიდრე 1956 წელს. შემცირდა საწარმოთა მიერ სავაჭრო ორგანიზაციებისათვის დაბალხარისხოვანი პროდუქციის მიწოდების შემთხვევები. მაგრამ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია, რომ მთლიანად დაკმაყოფილდეს მომხმარებელთა მზარდი მოთხოვნილება საბავშვო ასორტიმენტის ფეხსაცმელზე, ტანსაცმელზე, ავეჯზე.

ყველაზე დიდი მოთხოვნილებაა ბავშვის საგაზაფხულო-საზაფხულო სეზონის ფეხსაცმელზე. თბილისის ფეხსაცმლის № 1 ფაბრიკაში მცირე რაოდენობით უშვებდნენ 31-34 ზომის მსუბუქ ფეხსაცმელს.

სამკერვალო ფაბრიკებიდან და საფეიქრო საწარმოებიდან სავაჭრო ქსელში ოშვიათად იგზავნებოდა საბავშვო თეთრეული, ჩითის კაბები, სარაფანები, პერანგები, მიუხედავად იმისა, რომ მოთხოვნილება მათზე ძალიან დიდია, მაღაზიებში ოშვიათად შეხვდებით აგრეთვე საბავშვო მსუბუქ საბნებს, ავეჯს. 6 თვის მანძილზე „ბავშვთა სამყაროს“ არც ერთი საბავშვო საწოლი არ მიუღია, ამ საქონელს კი ყოველდღიურად ასობით მომხმარებელი კითხულობს. როგორც ჩანს, ეს გარემოება სრულებითაც არ აწუხებს თბილისის კალინინის სახელობის მექანიკური ქარხნის კოლექტივს, რომელიც საბავშვო საწოლებს ამზადებს.

მეტი ყურადღება უნდა მიექცეს საბავშვო ასორტიმენტის ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის ხარისხის გაუმჯობესებას. ამ საქმეში ყველაზე მეტად სცოდავდნენ თბილისის ფეხსაცმლის № 1 ფაბრიკა და რესპუბლიკის სამკერვალო ფაბრიკები. „ბავშვთა სამყაროს“ ამ საწარმოებისათვის ბევრჯერ დაუბრუნებია დაბალი ხარისხის პროდუქცია. მოდელების რესპუბლიკურ სახლში საბავშვო ასორტიმენტის საუცხოო მოდელებს ქმნიან, მაგრამ ფაბრიკებში ეს მოდელები ცუდ სახეს იღებენ სათანადო ასორტიმენტისა და მოჩითულობის ქსოვილების შეურჩევლობის გამო. სავაჭრო ორგანიზაციებმა ყოველთვის არ იციან, რა ასორტიმენტით და რა ხარისხის პროდუქციას ამზადებენ ამა თუ იმ საწარმოში.

ნაკლოვანებები, რომლებიც ჩვენს რესპუბლიკაში არსებობს ბავშვის ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის წარმოების გადიდების, ხარისხის გაუმჯობესების საქმეში, უარყოფითად მოქმედებს სავაჭრო ორგანიზაციების გამართულ მუშაობაზე. ამიტომ იყო, რომ „ბავშვთა სამყაროს“ კოლექტივი გულდასმით გაეცნო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებას ბავშვის ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის წარმოების გადიდების, ასორტიმენტის გაფართოებისა და ხარისხის გაუმჯობესების შესახებ და გადაწყვიტა ენერგიულად იბრძოლოს ამისათვის, რომ მთლიანად იქნას დაკმაყოფილებული მოსახლეობის მოთხოვნილება საბავშვო ასორტიმენტის საქონელზე.

მაღაზიის კოლექტივს ამ საქმეში გარკვეული გამოცდილება აქვს. ვაჭრობის მუშაკთა დაკვეთით ჩვენი რესპუბლიკის საწარმოებმა უკანასკნელ ხანებში აითვისეს და გამოუშვეს საბავშვო ასორტიმენტის რამდენიმე სახელწოდების საქონელი. მაგალითად, თბილისის პირველ სამკერვალო ფაბრიკა მაღაზიის დაკვეთით უშვებს ბავშვის ქუდებს, მეზღვაურის კოსტიუმებს, ჭართულ ხოხებს.

— თბილისში საბავშვო ასორტიმენტის საქონლით მოვაჭრე მაღაზიები,— თქვა მაღაზიის დირექტორმა ნ. მეფარიშვილმა,— სივიწროვეს განიცდის სამუშაო ადგილის მხრივ. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დადგენილების განხორციელების შედეგად ბავშვის ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის წარმოება მკვეთრად გადიდდება. ამიტომ მაღაზიების გაფართოებასა და კეთილმოწყობას ხერხიოზული ყურადღება უნდა მიექცეს.

ა. ხუჭუა.

თბილისის № 2 ფეხსაცმლის ფაბრიკა რესპუბლიკის ერთ-ერთი სპეციალიზებული საწარმოა. აქ ფართო ასორტიმენტით ამზადებენ ბავშვის ფეხსაცმელს. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის მარტის დადგენილებას ფაბრიკის კოლექტივი საქმიანად გამოეხმაურა. მან ვალდებულება აიღო გაზაფხულ-ზაფხულის სეზონისათვის დამატებით მიაწოდოს მომხმარებელს კიდევ ოთხი ახალი სახის ტყავის მაღალხარისხოვანი ფეხსაცმელი. გარდა ამისა, აქ აითვისეს და აპრილის პირველი რიცხვებიდან ხერიოზულად დაამზადებენ სბავშვო საშინაო ფეხსაცმელს. ხურათზე: ბავშვის ფეხსაცმლის შემკერავ № 1 საამქროში (მარცხნიდან მარჯვნივ) მოდელიერი ა. ხაკოვი, ხაამქროს უფროსი ა. რობაქიძე, მოწინავე მუშა თ. შუბლაძე ამოწმებენ მზა პროდუქციის ხარისხს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

შეიქმნა საქართველოს ხელსაწყოთმშენებელთა სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოება

ამ უკანასკნელ ხუთწლეულებში საქართველოში მნიშვნელოვნად განვითარდა ხელსაწყოთმშენებლობა: რიგში ჩადგა ახალი ქარხნები, სამეცნიერო-საკვლევი და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციები, რომლებიც მუშაობენ ავტომატიზაციის საშუალებათა განვითარების, საკონტროლო-საზომი ხელსაწყოებისა და გამოთვლითი მათემატიკური მანქანების შექმნის სფეროში.

ამასთან დაკავშირებით შეიქმნა ხელსაწყოთმშენებლობის მრეწველობის საქართველოს რესპუბლიკური სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოება, რომლის მიზანს შეადგენს აამაღლოს საზოგადოების წევრთა სამეცნიერო-ტექნიკური დონე და ხელი შეუწყოს ტექნიკურ პროგრესს ხელსაწყოთა მშენებლობისა და ავტომატიზაციის ახალ საშუალებათა შექმნის საქმეში.

1958 წლის 5 მარტს თბილისში შედგა ხელსაწყოთმშენებლობის მრეწველობის საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების პირველი რესპუბლიკური კონფერენცია, რომელმაც აირჩია საზოგადოების გამგეობა, პრეზიდიუმი. საზოგადოების თავმჯდომარედ არჩეულია თბილისის ხელსაწყოთმშენებლობისა და ავტომატიზაციის საშუალებათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში ინჟინერი გ. ზედგინიძე, სწავლულ მდივნად ინჟინერი ა. გელბუხი.

კონფერენციასთან ერთად მიეწყო ხელსაწყოთმშენებლობის დარგში რესპუბლიკის მიღწევათა გამოფენა, რომელმაც სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების დიდი ყურადღება დაიმსახურა.

ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადა მოსკოვში წარმატებით მიმდინარეობს

★ ★

პრესის მიმოხილვა

ყველაზე ძვირფასი

„...ჩვენ გვიყვარს და ვაფასებთ მშვენიერ საქართველოს და ქართული კულტურის საუნჯეს. იგი გადაიშალა ჩვენს წინაშე როგორც ძველი ზღაპრული განძი", — წერდა გამოჩენილი საბჭოთა მწერალი ა. ნ. ტოლსტოი.

ამ დღეებში ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი მოსკოვი სტუმართმოყვარულად შეხვდა საქართველოს ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადის მონაწილეებს. საუკეთესო თეატრებსა და საკონცერტო დარბაზებში მიმდინარეობს სპექტაკლები და საკონცერტო გამოსვლები მოძმე რესპუბლიკის შესანიშნავი დრამატული, საოპერო, საბალეტო, მუსიკალური კოლექტივებისა, მისი თვალსაჩინო პოეტებისა და პროზაიკოსებისა, მომღერლებისა, მოცეკვავეებისა და მუსიკოსებისა.

მოსკოველებმა თბილისიდან მიიღეს ძვირფასი საჩუქარი — რესპუბლიკური გაზეთების „კომუნისტისა" და „ზარია ვოსტოკას" სპეციალური ფირადი ნომრები, რომლებიც სიყვარულით მოუმზადებიათ და გაუფორმებიათ საქართველოს დედაქალაქის ჟურნალისტებსა და პოლიგრაფისტებს.

„მე ვუმღერ მოძმე ერების კერას
და კომუნიზმის ანთებულ ცისკარს,
ჩემი სამშობლოს წინსვლის რომ
მჯერა,
დიდი სამშობლოც მით უფრო
მიყვარს".

ასე წერს „ზარია ვოსტოკაში" პოეტი გრიგოლ აბაშიძე. და იქვე პოეტი-აკადემიკოსი გიორგი ლეონიძე, სსრ კავშირის სახალხო არტისტები ვახტანგ ჭაბუკიანი, პეტრე ამირანაშვილი, ვერიკო ანჯაფარიძე, მოქანდაკე ვალერიან თოფურიძე, კომპოზიტორი ოთარ თაქთაქიშვილი მასალმების მოელვარე სიტყვებით მიმართავენ მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა სამშობლოს.

„ამბობენ, სიმღერებში ხალხის სულაია,—წერენ ისინი.—დღეს დედაქალაქის თეატრებსა და საკონცერტო დარბაზებში აყვირდება ბედნიერი ქართველი ხალხის სიმღერები, რათა გამოხატოს სიყვარული და სიამაყე საბჭოთა საქართველოს მშრომელებისა, მათი მხურვალე სიყვარული მშობლიური კომუნისტური პარტიისადმი, მათი მზადყოფნა მთელი თავიანთი ძალები, ენერგია და ნიჭი მოახმარონ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობას".

ქართველი ხალხის, რუსი ხალხისა და ჩვენი ქვეყნის სხვა ხალხების დიდ მეგობრობაზე ლაპარაკობენ საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები. მათ მოჰყავთ ერთმანეთის გვერდით რუსთაველის, პუშკინის, შევჩენკოს, გრიბოედოვისა და ილია ჭავჭავაძის, მირზა ფატალი ახუნდოვისა და აკაკი წერეთლის, გორკის, მაიაკოვსკისა და იანკა კუპალას სახელები... „საქართველოს ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადა მარტო ქართველი ხალხის დღესასწაული როდია. ჩვენთან ერთად ქართული კულტურის მიღწევებს ახარებს ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა ხალხს".

მოწინავე სტატიაში „ქართული კულტურის ზეიმი" გაზეთი „კომუნისტი" წერს:

„ქართველი ხალხის წარგზავნილებმა დეკადაზე მოსკოვში წაიღეს არა მარტო საუკეთესო წიგნები და სურათები, სპექტაკლები და მუსიკალური ნაწარმოებები, საცეკვაო თუ ხაჭირკო ნომრები, არამედ რაღაც კიდევ უფრო დიდი და მნიშვნელოვანი — მათ მოსკოვში წაიღეს რუსი ხალხისადმი, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხისადმი ქართველი ხალხის მეგობრობისა და სიყვარულის წრფელი გრძნობები!".

ძვირფას სტუმრებს — დეკადის მონაწილეებს მიესალმებიან ხარატი პ. ბიკოვი, სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ვ. ამბარცუმიანი, სოციალისტური შრომის გმირი, წარჩინებული მწვრთველი ნ. მამაი, სოციალისტური შრომის გმირი, მოსკოვის რაიონის კოლეგიურნეობის თავმჯდომარე ნ. პუზანჩიკოვი, სხვა მოძმე რესპუბლიკების წარმომადგენლები.

„...ხაბჭოთა კულტურა, — აცხადებენ ისინი გაზეთ „ზარია ვოსტოკაში",— ეს არის რუხეთისა და უკრაინის, ბელორუსიისა და ამიერკავკასიის, შუა აზიისა და ყაზახეთის, ბალტიისპირეთისა და მოლდავეთის — ერთიან ძმურ ოჯახად საბჭოთა კავშირის მიერ შედუღაბებული ყველა რესპუბლიკის ხალხთა კულტურა".

უხუცესმა რუსმა პოეტმა ნ. ტიხონოვმა „კომუნისტში" გამოაქვეყნა თავისი ლექსი „ჩაის მკრეფავის ხელები". ქართული ხელოვნების შესანიშნავ წარმატებებზე დაწერეს რუსეთის სფსრ სახალხო მხატვარმა ს. გერასიმოვმა, სსრ კავშირის დიდი აკადემიური თეატრის დირექტორმა მ. ჩულაკინ, სსრ კავშირის სახალხო არტისტებმა ი. მოისეევმა და მ. კედროვმა. გაზეთი აქვეყნებს სსრ კავშირის სახალხო არტისტის დ. ანდღულაძისა და პროფესორ ა. ფაღავას სტატიებს ქართული და რუსული სცენის მოღვაწეთა უძველეს ურთიერთობაზე.

იმაზე, რაც ყველაზე ძვირფასია, რაც აღელვებს მოსკოვის დეკადის თვითეულ მონაწილეს, კარგად თქვა მწერალმა კონსტანტინე ლორთქიფანიძემ:

„...კომუნისტების პარტიას შეუძლია მიუსვამოს თავის თავს, რომ ჩვენი ქვეყნის ხალხებში აღზარდა ურთიერთ სიყვარულისა და ძმობის გრძნობები, და ეს ყველაზე ძვირფასი, ყველაზე სანუკვარი გრძნობებია, რომლებზეც ასე მკაფიოდ და ასე გულში ჩამწვდომად ილაპარაკა ამას წინათ მეგობრეთა თათბირზე მოსკოვში ნიკიტა ხერგიძ-ძე ხრუშჩოვმა. და სწორედ ისევე, როგორც უზბეკი ან თურქმენი მებამბეები, როგორც უკრაინელი მხვნელ-მთესველები, ან ბელორუსი მესელეები, ჩამოვიდნენ მოსკოვში, როგორც თავიანთ მშობლიურ ქალაქში, ჩვენი დეკადის მონაწილეები".

გაზეთები „კომუნისტი" და „ზარია ვოსტოკა" მკითხველებს აცნობენ ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დიდ შემოქმედებითს მიღწევებსა და გამარჯვებებს. ფერად რეპროდუქციებზე აბეჭდილია რესპუბლიკის გამოჩენილი მხატვრების სურათები და ნახატები. ესენია უ. ჯაფარიძის „ვ. ი. ლენინის პორტრეტი" და „კოლმეურნე ქალი", კ. მახარაძის „სუფოროვი და ბაგრატიონი ალპაზში", ს. ქობულაძის ილუსტრაცია „ვეფხისტყაოსნისათვის", გ. თოთიბაძის „რუსთაველი მეტალურგები" და სხვები. ორივე გაზეთში დაბეჭდილია ფერადი ფოტოგრაფიები ა. მაჭავარიანის ბალეტ „ოტელოს" სცენებისა. გაზეთები ფართოდ აქვეყნებენ რესპუბლიკის სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ქრონიკას. მოყვანილია ამაღლებული ფაქტები და ციფრები:

„დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე საქართველოში არ ყოფილა არცერთი უმაღლესი სასწავლებელი, ახლა ისინი ცხრამეტია...".

1913 წელს საქართველოში გამოიცა სულ 694 სახელწოდების წიგნი 965 ათასი ცალი ტირაჟით, ხოლო 1957 წელს — 2.070 სახელწოდების წიგნი 11.179.500 ცალი ტირაჟით".

ხალხთა მეგობრობის კეთილმყოფელი ძალა ვლინდება სოციალისტური ეკონომიკის უდიდესი ზრდითაც, მრავალეროვანი სოციალისტური კულტურის მძლავრი განვითარებითაც. ამაზე — ყველაზე ძვირფასზე — ასე გულში ჩამწვდომად წერენ ქართველი პოეტები, მსახიობები და მუსიკოსები:

„კომუნიზმის იდეების მჭადაგებლებად გამოსვლა საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების დიდი დანიშნულებაა. ჩვენი კულტურის მოღვაწეებმა ჭეშმარიტი ბედნიერება ჰპოვეს მშობლიური ხალხისადმი სამსახურში".

საქართველოს რესპუბლიკური გაზეთების „ზარია ვოსტოკას" და „კომუნისტის" რედაქციებს კარგად უშრომიათ მოსკოვის დეკადისადმი მიძღვნილ ნომრებზე.

„პრავდა", 24-III.

საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის გამოსვლა მოსკოვის ჩაიკოვსკის სახელობის საკონცერტო დარბაზში.

ფოტო გ. ვახტანგაძისა.

ვ. გოძიაშვილის შემოქმედებითი საღამო

მოსკოვი, 24 მარტი. (საქმესის სპეც. კორ.). დიდი ინტერესი გამოიწვია სრულიად რუსეთის თეატრალური საზოგადოების მსახიობის ცენტრალური სახლის დიდ დარბაზში გამართულმა საქართველოს სსრ სახალხო არტისტის ვასო გოძიაშვილის შემოქმედებითმა საღამომ. აქ შეიკრიბნენ საბჭოთა სცენის თვალსაჩინო ოსტატები — რუსეთის სფსრ სახალხო არტისტები ს. ბირმანი, ფ. რანევსკაია, ი. ტოლჩანოვი, საქართველოს მწერლები და ხელოვნების სხვა მოღვაწეები.

მოხსენება გამოჩენილი ქართველი მსახიობის შემოქმედებითი გზის შესახებ გააკეთა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა გ. ციციშვილმა.

საღამოზე ვ. გოძიაშვილმა შეასრულა ცალკეული *ფრაგმენტები მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სპექტაკლებიდან, რომლებშიც იგი ასრულებს მთავარ როლებს — ი. ჭავჭავაძის „კაცია ადამიანი?!" (ლუარსაბი), შექსპირის „რიჩარდ III" (რიჩარდი), ა. ცაგარელის „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ" (ავეტიკა).

დასასრულ რუსეთის სფსრ სახალხო არტისტი ს. ბირმანი მიესალმა ვ. გოძიაშვილს მოსკოვის თეატრალური კულტურის მოღვაწეთა და სრულიად რუსეთის თეატრალური საზოგადოების სახელით.

ახალი საინტერესო კრებული

მოსკოვში სახელმწიფო მუსიკალურმა გამომცემლობამ გამოსცა სტატიების კრებული „ქართული მუსიკალური კულტურა". წინასიტყვაობაში ნათქვამია, რომ ეს კრებული წარმოადგენს ქართული მუსიკალური ხელოვნების განვითარების ძირითადი საკითხების უფრო სრულად განხოგადების პირველ ცდას.

კრებულში ყველაზე სრულად წარმოდგენილია ქართული მუსიკალური შემოქმედების საბჭოთა პერიოდი.

წიგნში შესულია სტატიები: გ. ჩხიკვაძის — „ძველი ქართული მუსიკალური კულტურა" და „ხალხური სიმღერა", შ. ასლანიშვილის — „ხალხური საცეკვაო მუსიკა", ო. ჩიჯავაძის — „XIX საუკუნის მუსიკალური კულტურა", ვ. დონაძის — „საქართველოს მუსიკალური მემკვიდრეობა (კლასიკური პერიოდი)", პ. ხუციშვილი — „საბჭოთა ოპერა და ბალეტი", ა. წულუკიძის — „სიმფონიზმის განვითარების გზები", გ. თორაძის — „სიმფონიური პოემა, სიუიტა, უვერტიურა", მ. იაშვილის — „ინსტრუმენტალური კონცერტი", ა. წულუკიძის — „კანტატა და ორატორია", ე. ძიძაძის — „კამერული ინსტრუმენტალური მუსიკა", ა. ლორთქიფანიძის — „საბჭოთა რომანსი", თ. კვირიკაძის — „მასობრივი სიმღერა", შ. ასლანიშვილის — „ქართველ კომპოზიტორთა ჰარმონიის ხალხური საფუძვლები".

კრებულის რედკოლეგიაში შედიან ა. ბალანჩივაძე, ვ. დონაძე და პ. ხუციშვილი. რედაქტორები არიან ტ. ლებედევა და ა. წულუკიძე. მხატვარი პ. კუზანიანი. ტირაჟი 2.300.

მოსკოვი. (ჩვენი სპეც. კორ.). მოსკოვში ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადასთან დაკავშირებით საქვაჭრობამ თავისი მაღაზიების მეშვეობით ფართოდ გაშალა საინტერესო ვაჭრობა დედაქალაქის თეატრების ბუფეტებსა და ფოიეებში.

მხატვარ ლ. მამალაძის და არქიტექტორ გ. ჭიაურელის მიერ ქართული სტილით გაფორმებულ კიოსკებში იყიდება ხილი, ჩირი, ჩურჩხელა, განთქმული ქართული ხილის სიროპები, გოზინაყი, ნუგა, თამბაქოს ნაწარმი. აქვე იყიდება სადეკადო სუვენიოები, ტკბილეულით სავსე პატარა აბრეშუმის ხურჯინები, კერამიკული ნაწარმი, ხის, ძვლის და რქის მხატვრული ნაკეთობანი, რომლებიც დამზადებულია საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს საწარმოო კომბინატში.

დიდი მოთხოვნილებაა ღია ბარათებზე დეკადის ემბლემით.

სადეკადო სუვენირები.

★ ★ ★

გაიხსნა საქართველოს სახვითი ხელოვნების გამოფენა

მოსკოვი, 22 მარტი. („კომუნისტის" სპეც. კორესპონდენტებისაგან). ერთი ყველაზე ძვირფასი რამ ეგრძნობა დეკადის დღეებში. დედაქალაქის მშრომელები ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადის მონაწილეებს, მათს სპექტაკლებს, სიმღერებს, ცეკვებს, სურათებს ხვდებიან არა როგორც სანახაობებს, გასართობებს, არამედ როგორც ძმობის, გულითადი მეგობრობის, სიყვარულის გამოხატულებას. იგრძნობა, რომ ქართული კულტურა, მისი მიღწევები მათ ისევე ახარებს, როგორც ქართველებს.

ასეთი საერთო სიხარული აღტაცებისა და ნამდვილი მეგობრობის მართალ სურათი ვნახეთ იმ დღეს, როცა მოსკოვის სამხატვრო აკადემიის დარბაზებში გაიხსნა საქართველოს სახვითი ხელოვნების გამოფენა.

დღის ორი საათია. გამოფენის მთავარ დარბაზში შემოდიან საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. მეჟანაძე, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები ი. დოლიძე და ფ. დუმბაძე, სსრ კავშირის კულტურის მინისტრი ნ. მიხაილოვი, გამოჩენილი სახალხო მხატვრები, ხელოვნებისა და ლიტერატურის მოღვაწეები.

ფოიეში, კიბეებზე, დერეფნებში ადამიანების ტევა არ არის. იწყება საზეიმო ნაწილი. რა გულთბილი, ამაღელვებელი, მეგობრობის წმინდა გრძნობით აღსავსე იყო ცნობილი ხელოვანის, საბჭოთა კავშირის სამხატვრო აკადემიის ეიკე-პრეზიდენტის მ. მანიზერის შესავალი სიტყვა, სსრ კავშირის კულტურის მინისტრის ნ. მიხაილოვის გამოსვლა, საბჭოთა კავშირის მხატვართა კავშირის გამგეობის მდივნის ს. გერასიმოვის, საბჭოთა კავშირის სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის ბ. იოგანსონის მისალმებები.

ასევე გულთბილად წარმოთქვეს საპასუხო სიტყვები საქართველოს სსრ კულტურის მინისტრმა დ. ჩხიკვიშვილმა და სახალხო მხატვარმა უჩა ჯაფარიძემ, რომლებმაც მთელი ქართველი ხალხის, ქართული კულტურის მოღვაწეთა სახელით მადლობა გადაუხადეს მასპინძლებს, ჩვენს დიად კომუნისტურ პარტიას, მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს დიდი, შთამაგონებელი ყურადღებისათვის.

ღამთავრდა საზეიმო ნაწილი, გაიჭრა წითელი ლენტი, და დიღმეს გამოფენის დათვალიერება. როგორც იტყვიან, თვალის დახამხამებაში გაივსო გამოფენის თოთხმეტივე დარბაზი. აქ არიან მხატვრები, მწერლები, მსახიობები, მეცნიერები, პარტიული და საბჭოთა მუშაკები, დედაქალაქის მშრომელები.

— გამოფენამ ჩემზე შესანიშნავი შთაბეჭდილება დატოვა, — აღნიშნა გამოფენის დათვალიერების შემდეგ ჩვენი გაზეთის კორესპონდენტთან საუბარში საბჭოთა კავშირის მხატვართა კავშირის მდივანმა ი. სერებრიანიმ. განსაკუთრებით კარგია, თქვა მან, რომ სახელმოხვეჭილი ქართველი მხატვრების მხარდამხარ თამამად დგანან ახალი თაობის მხატვრები, რომლებიც სასიხარულო იმედებს იძლევიან.

გვიან საღამომდე დამთვალიერებლებით სავსე იყო გამოფენის დარბაზები. უამრავი სურათი * გადაიღეს ფოტორეპორტიორებმა, სახელდახელოდ მოწყობილ წიგნის კიოსკში გაიყიდა გამოფენის კატალოგები, ბუკლეტები, ალბომები.

საქართველოს სახვითი ხელოვნების გამოფენის დათვალიერების შემდეგ გაზეთ „კომუნისტის" კორესპონდენტი ესაუბრა საბჭოთა კავშირის სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს, საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვარს ბ. იოგანსონს. გამოჩენილმა საბჭოთა მხატვარმა განაცხადა: „ჩელოვნებისა და ლიტერატურის დეკადა უმნიშვნელოვანესი მოვლენაა თვითეული რესპუბლიკის კულტურულ ცხოვრებაში. ეს დეკადა საქართველოს რესპუბლიკის ლიტერატურისა და ხელოვნების მაღალნიჭიერ წარმომადგენელთა შემოქმედებითი ანგარიშია მთელი საბჭოთა ხალხის წინაშე. საქართველოს სახვითი ხელოვნების ოსტატთა ნამუშევრების გამოფენა საინტერესოა არა მარტო შინაარსითა და ფორმის თავისებურებით, თავისი მაღალი ემოციური ეფექტურობით, არამედ იმითაც, რომ წარმოადგენს ოცი წლის განმავლობაში დაძაბული მუშაობისა და დაუშრეტელი შემოქმედებითი ძიების ანგარიშს. საბჭოთა ხალხი კანონიერად ამაყობს იმ დიდი წარმატებებით, რომლებსაც მიაღწია ჩვენმა სახვითმა ხელოვნებამ სოციალისტური მშენებლობის წლებში. რესპუბლიკის ფერმწერების, გრაფიკოსებისა და მოქანდაკეების მიერ შექმნილი მრავალი ნაწარმოები საბჭოთა კულტურის საგანძურში შევიდა. საყოველთაოდ ცნობილია გამოჩენილი საბჭოთა მოქანდაკის ი. ნიკოლაძის შემოქმედება. გ. გაბაშვილთან, ა. მრეველიშვილთან და მ. თოიძესთან ერთად მან საფუძველი ჩაუყარა ქართულ რეალისტურ სახვითს ხელოვნებას. მის მიერ შექმნილი ღრმად იდეური და ნამდვილად სახალხო ხელოვნების შესანიშნავი ტრადიციები გამდიდრეს და განვითარეს ქართველ მხატვართა ახალმა თაობებმა. ამას ნათლად მოწმობს დღევანდელი გამოფენა. არ შეიძლება არ აღინიშნოს უ. ჯაფარიძისა და რ. სტურუას მიერ დიდი სითბოთი და გულწრფელობით შესრულებული ფერწერითი ტილოები, ქ. მაღალაშვილის, გ. ჯაშის პორტრეტული ნაწარმოებები, ა. ქუთათელაძის და კ. სანაძის კომპოზიციები, ა. ციმაკურიძის და მ. ხვიტიას ნათელი პეიზაჟები. პროფესიულად დასრულებულია კ. მაჩარაძის, ლ. ხუციშვილის, გ. თოთიბაძის, რ. თურქიას და სხვათა ფერწერული ტილოები.

სიამოვნების დიდი გრძნობით მინდა აღვნიშნო ქართველ მოქანდაკეთა წარმატება გამოფენაზე. შესანიშნავია ძერწვის ოსტატების ვ. თოფურიძის, ნ. კანდელაკის, კ. მერაბიშვილის, ს. კაკაბაძის და სხვათა სკულპტურული ნაწარმოებები. თვალს ახარებს ახალგაზრდა მოქანდაკეების ი. ოქროპირიძის, თ. ასათიანის, ე. კაკაბაძის შემოქმედებითი ძიება.

თავისებური და მნიშვნელოვანია გამოფენის გრაფიკის განყოფილება, რომლის ექსპოზიციაში წარმოდგენილია სხვადასხვა ჟანრითა და ტექნიკით შესრულებული ნაწარმოებები. ლამაზი და დასამახსოვრებელია ს. ქობულაძის, უ. ჯაფარიძის, გ. ჩირინაშვილის, ა. ბანძელაძის საილუსტრაციო ციკლები, დ. ქუთათელაძის ოფორტები, ვ. კეშელავას ლითოგრაფიები, დ. გაბაშვილის, ვ. გრიგოლიის გრაფიკული ნაწარმოებები.

ფართო პერსპექტივებია გადაშლილი საქართველოს კერამიკის განვითარებისათვის. გამოფენის მასალების მიხედვით რომ ვიმსჯელოთ, მან მიაღწია მნიშვნელოვან შედეგებს როგორც ეროვნული ტრადიციების თვისების, ისე ახალი ფორმების შექმნის დარგში.

ვუსურვებ ჩემს ქართველ მეგობრებს ახალ მიღწევებსა და შემოქმედებითს წარმატებებს საბჭოთა მრავალეროვანი ხელოვნების საკეთილღეოდ".

* * *

სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის შენობაში გახსნილია ქართული სახვითი ხელოვნების გამოფენა.

სურათზე: გამოფენის ერთ-ერთ დარბაზში.

ფოტო ვ. ვოლოდინისა.

ანტიკური ტრაგედია ქართული თეატრის სცენაზე

საბჭოთა თეატრში დამკვიდრდა მშვენიერი და ცხოველმყოფელი შემოქმედებითი ტრადიცია — მისწრაფება ძველი პიესის ახლებურად წაკითხვისადმი. ყოველთვის ამისკენ არის მიმართული ჩვენი სცენის ოსტატთა შემოქმედებითი ღონისძიებები.

სოფოკლეს ტრაგედიის „ოიდიპოს მეფის" დადგმაზე მუშაობისას რუსთაველის სახელობის ქართული თეატრის ოსტატები არქაულობამ, სამუზეუმო უძრაობაში გაყინულმა სახეებმა და მოვლენებმა როდი გაიტაცა. სპექტაკლის შემქმნელებმა შეძლეს შეეყვანეთ ამ ანტიკური ტრაგედიის გმირთა სულიერი ღელვის დიდ, რთულ, ტანჯვით აღსავსე სამყაროში, გავეტაცებინეთ ადამიანთა ბედის სირთულის ჩვენებით.

ბევრ რამეში მოხდენილად აუარეს რა გვერდი წმინდა გარეგნული სცენიური გამომსახველობის ხერხებს, დეკლამაციურ პათოსს, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ესოდენ ძნელ სპექტაკლში, მათ აღავსეს წარმოდგენა დიდი შინაგანი ძალით, მკაფიო აქტიორული ოსტატობით.

ძველი ელადის დიდმა დრამატურგმა თავისი უკვდავი ნაწარმოების ფურცლებზე აღბეჭდა სახე ოიდიპოს მეფისა, რომელიც გარემოებათა მძიმე ერთობლიობის მსხვერპლი გახდა. მეფე ლაიოსსა და მის მეუღლე იოკასტეს წყევლის ავბედითი აჩრდილი დასტრიალებს თავს: მისნებმა უწინასწარმეტყველეს მათ, რომ ლაიოსი, რომელმაც სხვისი ბავშვი მოიტაცა, თავისი საკუთარი შვილის ხელით მოკვდება. როცა ლაიოსსა და იოკასტეს გაუჩნდათ ვაჟი ოიდიპოსი, ლაიოსმა უბრძანა მონა მწყემსს წაეყვანა ბავშვი კითერონის მთაზე და გადაეგდო იქ, რომ იგი მხეცებს დაეგლეჯათ. მწყემსს შეებრალა ბავშვი და ფარულად მისცა მეზობელ კორინთელ მწყემსს. მან კი ოიდიპოსი უშვილო მეფე პოლიბიუსს მიჰგვარა. მეფე პოლიბიუსმა ბავშვი იშვილა. ერთხელ ოიდიპოსს ვიღაცამ ნაბუშარი უწოდა, და, თავისი წარმოშობის საიდუმლოება რომ გაეგო, ოიდიპოსმა მისანს მიმართა. თავის კითხვაზე მან პირდაპირი პასუხი ვერ მიიღო, მაგრამ შეიტყო, რომ მას უწერია თავისი მამა მოკლას და მშობელი დედისაგან შვილები ჰყავდეს. შეშფოთებული ოიდიპოსი გადაწყვეტს სამშობლო კორინთი მიატოვოს და თებეში მიდის. გზაში ატეხილი ჩხუბის დროს ოიდიპოსი კლავს თავდამსხმელთ და მათ შორის ლაიოსს. ურჩხულ სფინქსზე გამარჯვების შემდეგ ოიდიპოსი თებეს მეფე ხდება და ცოლად ირთავს იოკასტეს, არ იცის, რომ მოხუცი, რომელიც მან მოკლა, მამამისია, ხოლო იოკასტე — დედა.

თებეში შავი ჭირი ჩნდება, და ოიდიპოსი იოკასტეს ძმას კრეონტს ავალებს შეეკითხოს აპოლონს, რა საშუალება იხსნის ქვეყანას მძიმე უბედურებისაგან. კრეონტი ბრუნდება და აუწყებს ოიდიპოსს, რომ ის, ვისაც ნამდვილად მიუძღვის ბრალი ყველა უბედურებაში, აქ, ქალაქშია, რომ იგი მეფე ლაიოსის მკვლელია, და სანამ ეს დამნაშავე არ დაისჯება, უბედურება გაგრძელდება. ოიდიპოსი გადაწყვეტს მონახოს მკვლელი და საკადრისად დასაჯოს იგი. ასე ინასკვება ტრაგედია „ოიდიპოს მეფე".

რჩევისათვის მოწვეული უსინათლო მისანი ტირეზია წინადადებას აძლევს ოიდიპოსს შეწყვიტოს ძებნა, აგრძნობინებს, რომ ყველა უბედურებაში ბრალი მიუძღვის თვითონ ოიდიპოსს, და სწყევლის მას. ოიდიპოსი განრისხებული, გაოფთრებულია: ბრალდება შემაძრწუნებელია. მაგრამ ამ წუთიდან მას სულში ჩაეწვეთება იქვი, შიში, შეშფოთება. თავისი გმირის ფიქრთა, გრძნობათა, განწყობილებათა ცვლას მსახიობი ა. ხორავა დამაჯერებლად, ოსტატურად გვიჩვენებს. განრისხებული ოიდიპოსი ბრალს სდებს ტირეზიას, რომ მას კავშირი აქვს კრეონტთან, რომელმაც განიზრახა ხელში ჩაიგდოს ტახტი. ოიდიპოსი მზად არის გაუსწორდეს კრეონტს, მაგრამ იოკასტე დროზე აშორებს ძმას საფრთხეს, არწმუნებს ოიდიპოსს, რომ მან არ დაუჯეროს ცრუ წინასწარმეტყველებას: იოკასტემ უამბო იმ დღის შესახებ, როცა მისნის სიტყვებით შეშინებულმა ლაიოსმა ახლადდაბადებული ვაჟი მხეცებს მიუგდო დასაგლეჯად. ლაიოსი კი გზაში მოკლეს უაჩაღებმა...

თანდათანობით, მიკვლევით, მწყემსების დაკითხვით, ამბების, ფაქტების ერთმანეთთან შეჯერებით ოიდიპოსი არკვევს საშინელ სიმართლეს. ამას თითქმის უკვე გაგიჟებული გმირი ტრაგიკულ ფინალამდე მიჰყავს: იგი თვალებს დაითხრის.

ჭკვიანურად, ოსტატურად მიჰყავს თავისი როლი ა. ხორავას. ბედისწერის იდეა როდი ბატონობს სპექტაკლში, იგი სულ უფრო და უფრო უკანა პლანზე გადადის და ადგილს ყოთმობს ადამიანის ენებათა ღელვის, გრძნობათა აფორიაქების, ადამიანის ზნეობრივი განმტკიცების ჩვენებას. ოიდიპოსს ბრძოლას ნიჭიერი მსახიობი მკაფიოდ, ხელშესახებად გვიჩვენებს. ოიდიპოსი იტანჯება, სწყურია შეიტყოს ჭეშმარიტება, რა საშინელიც უნდა იყოს იგი, სურს მოუტანოს თავის ხალხს განთავისუფლება ჭირისა და შიმშილისაგან. ჩვენ ვხედავთ ადამიანის სასტიკ ბრძოლას თავისი სულისათვის, თავისი ადამიანური ღირსებისათვის. ფიზიკურად რომ დაიბრმავა თავი, მან იხილა უმაღლესი: სიყვარული თავისი ხალხისადმი, პასუხისმგებლობა მის წინაშე. ტრაგედიის გმირის არსებაში ყველაფერი ილაშქრებს თვით მის მიერ ჩადენილის წინააღმდეგ, უღრღნის გულს, უფერფლავს სულს. რა ვუყოთ, რომ ყველაფერი მის უნებურად მოხდა — სულ ერთია იგი პასუხისმგებელია თავისი დანაშაულისათვის ადამიანთა წინაშე, თავისი ადამიანური სინდისის წინაშე, მახლობლების წინაშე, პასუხისმგებელია, როგორც ადამიანი, როგორც მმართველი იმათ წინაშე, ვინც მას ანდო თავისი ბედი, თავისი იმედები და მისწრაფებები. ოიდიპოსი თავს ისჯის, როგორც თავისი თავის უმაღლესი მსაჯული. ასეთი დაბოლოება მაღალ ეღერადობას აძლევს მთელ ტრაგედიას. მსახიობი თითქმის ფიზიკურად გვაგრძნობინებს, როგორ ძგერს ოიდიპოსის მხურვალე, კეთილშობილი, აღელვებული გული. ა. ხორავა ოსტატურად ატარებს დამამთავრებელ სცენასაც შვილებთან. მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში გვინდა ვურჩოთ ნიჭიერ მსახიობს ერიდოს მელოდრამატიზმის ერთგვარ გამოვლინებას. შესანიშნავია სცენა მწყემსებთან, რომლებიც ოიდიპოსმა დასაკითხავად დაიბარა. ოიდიპოსი ცდილობს სულში ჩასწვდეს თანამოსაუბრეს, დაკვირვებულად, ყურადღებით ისმენს ყოველ ფრაზას, სახეში ჩასცქერის, ალოს უღებს სიტყვების, ეკვესების, მოძრაობების ყოველ ოდნავ ელფერს, მთელი მისი არსება საშინლად არის დაძაბული. იმედი შეშფოთებით ეცვლება. შიშით შესცქერის ადამიანებს. ოიდიპოსს ანთებული მზერა გადააქვს ერთიდან მეორეზე, — და ჩვენ, მაყურებლებს, გადმოგვეცემა ეს შინაგანი ძერწოლა, ეს იქვი და მერყეობა, რომლითაც იწვის გმირის სული. ოიდიპოსის სახე სპექტაკლში ა. ხორავას მშვენიერი სცენიური ქმნილებაა.

მხატვრული ტაქტით მიჰყავს იოკასტეს როლი ნ. ლაფაჩს. მსახიობს ახასიათებს დიდი სინაზე, არტისტული გრაცია, ცოცხალი ტემპერამენტი. ჩინებულად თამაშობს იგი ბოლო სცენას, როცა იოკასტე ოიდიპოსში შეიცნობს თავის შვილს: იოკასტე თავზარდაცემულია. გამომეტყველია მსახიობის მოკუმული ათრთოლებული ხელები. გაფართოებული, შიშით აღსავსე თვალები. ეს მოკლე მიმიჯური სცენა ძალიან ჭკვიერ და დამაჯერებელია მსახიობის შესრულებით.

გ. საღარაძე კრეონტს თამაშობს მკაცრი და თავშეკავებული, ეარგი არტისტული მანერით. ნ. ჩხეიძემ შექმნა ყოლორიტული სახე სასტიკი, უსულგულო ტირეზიასი, რომლისთვისაც უცხოა ადამიანის გულის ტკივილი და სასოწარკვეთილება.

აღსანიშნავია გ. კიკნაძის (მეკრეკი) და განსაკუთრებით ბ. კობახიძის (მწყემსი) საინტერესო აქტიორული ნამუშევარი. სპექტაკლის მონაწილეთა შორის გამოირჩევიან აგრეთვე თ. თეთრაძე და მ. მიქელაძე (იოკასტეს მხევალნი).

ბევრი კარგი მსახიობია გუნდში. ისინი ყველანი შეადგენენ მოქმედ პირთა ერთ ცოცხალ ჯგუფს, რომელნიც შინაგანად გაერთიანებული არიან, მკაფიოდ ასრულებენ თავიანთ რთულ სცენიურ ამოცანებს. გუნდი მუდამ ჩაბმულია პიესის მოქმედებაში, როგორც ერთიანი მოქმედი პირი, და მას ეკუთვნის ერთ-ერთი ყველაზე დიდი დამსახურება სპექტაკლში. იშვიათად ნახავ სცენაზე ისეთ შესანიშნავად შეწყობილ ანსამბლს, როგორიც არის გუნდი სპექტაკლ „ოიდიპოს მეფეში".

დამდგმელი დ. ალექსიძე ცნობილია როგორც თეატრის დაკვირვებული, ემოციური მხატვარი. მასობრივი სცენები მკაფიო და საკმაოდ სკულპტურულია. დადგმა გვახარებს მოხდენილი მიზანსცენებით, რომლებშიც თავი იჩინა რეჟისორის გემოვნებამ, გამოცდილებამ და მხატვრულმა მანერამ.

ნიჭიერმა დამდგმელმა ყურადღება უნდა მიაქციოს იმას, რომ აქა-იქ მსახიობები გადაჭარბებულად მიმართავენ ჟესტებს, რომ მათს თამაშში ზოგჯერ თავს იჩენს მაღალფარდოვნება, რომელიც ხელოვნური სტილიზაციისა და წმინდა გარეგნული თეატრალობის შთაბეჭდილებას ქმნის.

სპექტაკლის მუსიკა დაწერილია კომპოზიტორ ო. თაქთაქიშვილის მიერ. იგი ორგანულად არის შერწყმული მოქმედებასთან, ხელს უწყობს მის ემოციურ გამდიდრებას. მხატვარმა ფ. ლაპიაშვილმა თეატრისათვის მშვენიერი დეკორაციები შექმნა.

სპექტაკლი „ოიდიპოს მეფე" ქართული თეატრალური ხელოვნების დიდი მიღწევაა.

ს. მეძინსკი,
რსფსრ სახალხო არტისტი.

„პრავდა", 24-III.

ერევნის ა. სპენდიარიანის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის გასტროლები თბილისში

საკოლმეურნეო ცხოვრების ამსახველი ოპერა

უკვე ათი დღეა, რაც თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში დიდი წარმატებით მიმდინარეობს ა. სპენდიარიანის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო აკადემიური თეატრის საოპერო და საბალეტო სპექტაკლები, რომლებმაც თბილისის ფართო საზოგადოებრიობის უდიდესი უურადღება დაიმსახურა. მათ შორის არ შეიძლება არ აღინიშნოს ა. ტიგრანიანის უაღრესად ეროვნული კლასიკური ოპერა „ანუშ“, მისივე ისტორიულ-მეროიკული ოპერა „დავით-ბეგი“, ტ. ჩუხაჯიანის „არშაკ მეორე“, თანამედროვე თემაზე შექმნილი გ. ეგიაზარიანის ბალეტი „ხევანი“ და სხვ.

მაღალი მუსიკალური კულტურის მქონე ნიჰიერმა კოლექტივმა მაყურებელს უჩვენა კომპოზიტორ ა. ბაბაევის საკოლმეურნეო თემაზე შექმნილი 4-მოქმედებიანი ოპერა „არწვაბერდი“, რომლის ლიბრეტო ეკუთვნით ზ. ვარდანიანს და გ. ბორიანს. ბუნებრივია, რომ ხალხის ინტერესი ამ ოპერის ნახვისადმი კიდევ უფრო გაძლიერდა, ვინაიდან ყველას სურდა მეტად საინტერესო კლასიკური საოპერო ქმნილებების გვერდით ენახა თანამედროვე ცხოვრების ამსახველი ნაბეჭოთა ოპერა. ოპერის დადგმა განახორციელა სომხეთის სსრ სახალხო არტისტმა ვ. ვართანიანმა.

სიუჟეტურად ოპერა ორი გზით ვითარდება. ერთია ბრძოლა ძველსა და ახალ სამეურნეო სისტემას შორის, ხოლო მეორე — ბრძოლა სიყვარულის გრძნობასა და მოვალეობის გრძნობას შორის.

ოპერის მოქმედება 1930 წელს ეხება და ახასიათებს იმ პერიოდს, როდესაც კოლექტიური მეურნეობის სისტემამ გაიმარჯვა კერძომესაკუთრულ-ინდივიდუალურ მეურნეობაზე.

მიუხედავად ლიბრეტოს ზოგიერთი ნაკლოვანი მხარეებისა, ოპერა მთლიანად კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს. კომპოზიტორის დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ოპერის მუსიკა განუწყვეტელ ნაკადად მოედინება. აქ მსმენელს ხიბლავს, ერთი მხრივ, მეტად ემოციური ლირიკული მელოდიების უწყვეტი სუნთქვა, ხოლო, მეორე მხრივ, მეტად მძაფრი დრამატული ხულით შთაგონებული მუსიკა.

ოპერა იწყება პროლოგით, სადაც ხიცოცხლით აღსავსე კარო ბნელი ძალების მსხვერპლი ხდება. უნდა აღინიშნოს, რომ სომხეთის სსრ სახალხო არტისტმა ა. პეტროსიანმა ბრწყინვალედ შესძლო კაროს ხეტიალი გრძნობების გამოხატვა. მისი როლი მეტად მოკლეა, მაგრამ მის მოქმედებაში ნათლად გამოიხატა უბრალო ადამიანის დიდი გრძნობები, რომელიც მომავლის იმედებით ცოცხლობს, იბრძვის კეთილი მომავლისათვის.

ოპერის ერთ-ერთი მთავარი გმირი რუბენია. მისი სახე მეტად მკაფიოდ წარმოგვიდგინა სომხეთის სსრ დამსახურებულმა არტისტმა მ. ერკათმა. იგი მთელი დამაჯერებლობით გადმოგვცემს თანამედროვე საბჭოთა მებრძოლი ადამიანის სახეს. ოპერაში მეტად რთული ტიპის განსახიერება ხვდა წილად სსრ კავშირის სახალხო არტისტს ტ. საჯანდარიანს. მისი მშვენიერი ხმის ტემბრი და შესრულების მაღალი კლასი დიდი ხანია ცნობილია ჩვენი მუსიკისმოყვარე ხალხისათვის. მსახიობის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს მის მიერ დამაჯერებლად წარმოდგენილი სოფლელი ქალის სახე, რომელშიც იბრძვის ორი გრძნობა — ცალკე სიყვარულისა და ცალკე მოვალეობისა. უნდა აღინიშნოს, რომ კომპოზიტორმა შუშანის სახე მეტად მკაფიო მელოდიურ ინტონაციებში გამოსახა, რამაც დიდად შეუწყო ხელი ოპერის საერთო გამარჯვებას.

მეტად ფაქიზი გრძნობები გამოამჟღავნა კოლმეურნე ქალის მაროს დახასიათებაში მსახიობმა ა. დუმანიანმა. მან დამაჯერებლად წარმოგვიდგინა მწუხარება

საყვარელი ძმის ვერაგულად დალუპვის გამო. ამ მხრივ აღსანიშნავია მაროს ტირილის სცენა პირველი მოქმედებიდან, მეორე მოქმედების ბოლოს მაროსა და რუბენის duetი.

ოპერაში ერთ-ერთ დადებით ტიპად წარმოდგენილია ძველი პარტიზანი ტოროსი. მოხუცი ტოროსის სახე ბრწყინვალედ განასახიერა სომხეთის სსრ სახალხო არტისტმა ნ. ოვანესიანმა, მისი შესანიშნავი ტემბრის ბანით გადმოცემული კომპოზიტორის შთანაფიქრი მელოდიები მეტად მაღალი განცდებით იქნა გამსჭვალული. ბოროტი, მავნე ადამიანის ავოს სახე მკაფიოდ ასახა სომხეთის სსრ სახალხო არტისტმა დ. პოღოსიანმა.

საყურადღებოა, რომ ოპერაში საკმაოდ არის წარმოდგენილი წამყვანი ინდივიდუალური გმირები, ამასთან ოპერის დრამატულ განვითარებას ხელს უწყობს აგრეთვე ხალხის მასის როლის ამაღლება. ამიტომ ოპერის გუნდი მოქმედი ძალაა. იგი გამოირჩევა მღერადობით. განსაკუთრებით აღსანიშნავია მესამე მოქმედება, სადაც ხალხი ზეიმობს გაზაფხულის მოახლოებას.

უნდა აღინიშნოს, რომ ოპერამ თბილისის მსმენელებზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. კომპოზიტორის მიერ გამოყენებული გამომსახველი საშუალებები, მაღალი სულიერი ძალა და მელოდიის სახადავე ოპერის გმირებს კიდევ უფრო აკეთილშობილებს. ოპერაში საკმაოდ არის მოცემული მაღალმხატვრული ღირებულების არიები, დუეტები, ცეკვები და სხვ.

ოპერა „არწვაბერდის“ საერთო გამარჯვებას უდავოდ შეუწყო ხელი ორკესტრის კოლექტივმა. ორკესტრის ხმოვანება ზეიმწიწვნით სუფთა და გამჭვირვალეა. ამ მხრივ განსაკუთრებით გვინდა აღვნიშნოთ ახალგაზრდა დირიჟორის ი. დავთიანის ღიდი და ნაყოფიერი მუშაობა. ოპერაში ზომიერად მოცემულია ქორეოგრაფიული ნომრები. თვითეული ცეკვა ხალხურ საწყისებზეა აგებული და სწორად გააზრებული, ეს კი სომხეთის სსრ დამსახურებული არტისტის ი. არბატოვის მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

„არწვაბერდის“ შექმნა და მისი განხორციელება ერევნის საოპერო თეატრის სცენაზე კიდევ ერთი ნაბიჯია წინ თანამედროვე საბჭოთა ოპერის განვითარების საქმეში.

ვუსურვებთ ჩვენს მოძმე ნიჰიერ საოპერო-სამხატვრო კოლექტივს წინსვლას ახალი გამარჯვებებისაკენ.

ვ. ახოგაძე.

* * *

ხურათზე: სცენა ოპერიდან „არწვაბერდი“.

ფოტო ვ. ჩერკასოვისა.

სომხეთის მსახიობები ლენინის რაიონის მშრომელებთან

გუშინ პლეხანოვის სახელობის კლუბში გაიმართა ა. სპენდიარიანის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის მსახიობთა შეხვედრა ლენინის რაიონის მშრომელებთან. აქ მოვიდნენ თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ - ვაგონშემკეთებელი ქარხნის, კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი, 26 კომისრის სახელობის სასოფლო - სამეურნეო მანქანათმშენებელი ქარხნებისა და რაიონის სხვა საწარმო-დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეები.

შეხვედრაზე ძვირფას სტუმრებს მიესალმა თბილისის მე-4 მუსიკალური სკოლის დირექტორი ქ. ჯიქია. რაიონის მუშა-ახალგაზრდობის წარმომადგენლებმა ყვავილების თაიგულები მიართვეს მომძე რესპუბლიკის ხელოვნების წარმომადგენლებს.

ერევნის ოპერისა და ბალეტის თეატრის კოლექტივის სახელით დამსწრეთ მიესალმა თეატრის მთავარი რეჟისორი, სომხეთის სსრ სახალხო არტისტი ვ. ვართანიანი. მან დამსწრეთ გააცნო თეატრის რეპერტუარი, მისი მუშაობა განვლილი 25 წლის მანძილზე.

შეხვედრის დასასრულს გაიმართა დიდი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სომხეთის სს რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტებმა ე. ბაღდასარიანმა, ლ. ლაზარევამ, მსახიობმა ს. გალუსტიანმა; ორკესტრის სოლისტებმა ს. კოშკარიანმა, კ. გალოიანმა, ბალერინებმა—ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VI მსოფლიო ფესტივალის ლაურეატმა ბ. ოვნანიანმა, ი. უშაკოვამ, ა. თოქმაჯიანმა და სხვებმა.

* * *

ამავე დღეს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართა ა. სპენდიარიანის სახელობის ერევნის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტის, სსრ კავშირის სახალხო არტისტ გოჰარ გასპარიანის კონცერტი. კონცერტმა წარმატებით ჩაიარა.

მაყურებელთა სიტყვა

თქვენთან ერთად

სომეხი მომღერლები ჩვენი ძველი ნაცნობები არიან. „აბა ერევნიდან დღეს რას გადმოგვცემენ?“ — ვიკითხავთ ხოლმე და ჩავრთავთ რადიოს. ბევრჯერ გვიყურია — ის, ვისაც მოუსმენია, სახეთაც გვინახავ. ეს ნატვრაც აგვისრულდა. ახლა ჩვენ ვტკბებით მათი შესანიშნავი ხელოვნებით. ჩვენი ხალხისათვის მეტად ძვირფასია სომხეთის ყველა სახის ხელოვნება, განსაკუთრებით კი ოპერა და ბალეტი. აქ ენის არცოდნა დიდად არ გვიშლის ხელს ღრმად ჩაეწვდეთ ჩვენი მოძმე ხალხის სულსა და გულს.

ერევნის ა. სპენდიარიანის სახელობის თეატრის საოპერო კოლექტივის თბილისში სტუმრობამ თვალსაჩინო ნაყოფი გამოიღო. თბილისელებისათვის ცნობილი გახდა ის შემოქმედებითი ზრდა, ალმავლობა, რომელიც თეატრს განუცდია. სილაღე გამოსჭვივის ყველა მსახიობისა და მოცეკვავის თამაშში. ამ დღეებში გამართულმა სპექტაკლებმა ჩვენს ხალხში დიდი მოწონება და სიყვარული ჰპოვა. და ჩვენი მაყურებელი ხანგრძლივი ტაშით აჯილდოებს მათ.

დაე იმდენ ათას წელიწადს იცოცხლოს და იღღეგრძელოს სომეხმა ხალხმა და მისმა მაღალნიჰიერმა ხელოვნებამ, რამდენჯერაც ჩვენ მათთვის აღტაცებით ტაში დაგვიკრავს, რამდენჯერაც გვოცნებია მშვენიერ სომხურ ჰანგებზე, რამდენჯერაც სომეხი ხალხის შვილებთან ერთად სუფრაზე, წითელი ღვინით სავსე ჭიქით ხელში, გვიმღერია და გვიმხიარულია. გოჰარ გასპარიანი გვეუბნება: ჩვენი სახლი თქვენი სახლიაო. კარგო მეზობლებო, მოკეთეებო, მშვენიერო მომღერლებო, ჩვენი სახლიც თქვენი სახლია. სულ ლხინი, ქორწილი და გულდადებით მხარდამხარ შრომა, თქვენთან ერთად სიმღერა!

მწერალი **ბოგრის ჩხეიძე.**

მადლობას ვუძღვნით თეატრის კოლექტივს

ა. სპენდიარიანის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო აკადემიური თეატრის გასტროლები ღირსშესანიშნავი მოვლენაა საქართველოს დედაქალაქის ცხოვრებაში. ჩვენ, თბილისის კონსერვატორიის სტუდენტები, განსაკუთრებით გაგვახარა სომხეთიდან ძვირფასი სტუმრების ჩამოსვლამ, რითაც შესაძლებელობა მოგვეცა მოვისმინოთ ნიჰიერი, თვითმყოფი მუსიკა. ერთია ყოველივე ამის პარტიტურით შესწავლა ან ტრანსლაციით მოსმენა და სულ სხვაა ნაწარმოების მთლიანად აღქმა, როგორც ამას ოპერის სინთეზური ყანრი მოითხოვს.

განსაკუთრებით დიდ ინტერესს წარმოადგენდა ჩვენთვის თეატრის ახალი სპექტაკლი — ოპერა „არწვაბერდი“. მისი დადგმა ერევანში განხორციელდა სულ ცოტა ხნის წინათ, ოქტომბრის მე-40 წლისთავის დღესასწაულის დღეებში. მისი ავტორია ახალგაზრდა კომპოზიტორი ანდრია ბაბაევი, რომლისთვისაც „არწვაბერდი“ დებიუტია საოპერო ჟანრში.

სომხური ეროვნული საოპერო ჟანრის ფუძემდებლის ა. ტიგრანიანის შემოქმედება წარმოდგენილი იყო ოპერებით „ანუშით“ და „დავით-ბეგით“. ამ ნაწარმოებთა შესრულებამ შესაძლებლობა მოგვცა ვიმსჯელოთ სომხური ეროვნული საოპერო სტილის საფუძვლებზე.

საერთოდ, თეატრის საგასტროლო რეპერტუარი საინტერესო და მრავალმხრივია. მინდა გამოვთქვა მხოლოდ ერთი სურვილი: ძალიან ვთხოვთ ძვირფას სტუმრებს, როცა ჩვენს დედაქალაქს შემდეგში ეწვევიან, ჩამოიტანონ ა. სპენდიარიანის ოპერა „ალმასტი“ — სომხური საოპერო ხელოვნების მარგალიტი.

ე. ბალანჩივაძე,
თბილისის კონსერვატორიის V კურსის სტუდენტი.

თბილისის ახალი სახელმწიფო საესტრადო ორკესტრი

საესტრადო ორკესტრის „რეროს“ და ქართული სახელმწიფო ფილარმონიის ჯაზის გაერთიანების ბაზაზე შექმნილია ახალი სახელმწიფო საესტრადო ორკესტრი კომპოზიტორ გ. ცაბაძისა და გ. გაბესკირიას სამხატვრო ხელმძღვანელობით.

20 მარტს შედგა ახალი კოლექტივის პირველი გამოსვლა ძერჟინსკის სახელობის კლუბში. მაყურებლებმა გულთბილად მიიღეს მომღერალ გ. ჩოხელის და ზ. რცხილაძის, მოცეკვავეთა ტრიოს — რესპუბლიკის დამსახურებული არტისტების გ. სიმონიშვილის, გ. კოჯორიშვილისა და ო. კალანდაძის გამოსვლა. დიდი წარმატებით მიპყავდათ კონცერტის პროგრამა გ. ლაბაძესა და ქ. კახარაძეს.

აპრილის პირველ რიცხვებში ორკესტრი საგასტროლოდ გაემგზავრება ერევანში, ბაქოში, აშხაბადსა და ტაშკენტში. ივნისში კი ორკესტრი კონცერტებს გამართავს მოსკოვსა და ლენინგრადში.

გ. ჩოხელი და გ. ფიცხელაური ესტრადაზე.

ფოტო გ. კიკვაძისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

მუშაობა დაამთავრა მონღოლეთის სახალხო რევოლუციური პარტიის XIII ყრილობამ

ულან-ბატორი, (საკდესი). 22 მარტს მუშაობა დაამთავრა მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის XIII ყრილობამ.

საღამოს სხდომამ მიიღო დადგენილება მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო და რეზოლუცია ცენტრალური სარევიზიო კომისიის მოხსენების გამო. დამტკიცებულია მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარების 1958-1960 წლების სამწლიანი გეგმის დირექტივები.

ყრილობამ მიიღო აგრეთვე რეზოლუცია მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის წესდების ზოგიერთი ცვლილებისა და დამატების შესახებ.

შემდეგ გამოქვეყნდა შედეგები პარტიის ცენტრალური ორგანოების არჩევნებისა. ცენტრალური კომიტეტი არჩეულია ცენტრალური კომიტეტის 75 წევრის და 47 წევრობის კანდიდატის შემადგენლობით. მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის არჩეულ წევრებს "შორის არიან ამხანაგები ბალკინიამი, დამბა, დამდინი, დუგერსურენი, სამბუ, სურენქავი, ცედენბალი, ცენდი და სხვები.

თავმჯდომარემ ამხ. დ. დამბამ, შეაჯამა მუშაობის შედეგები, თქვა: ყრილობამ ცხადყო, რომ გაიზარდა პარტია ორგანიზაციულად და იდეოლოგიურად, გაფართოვდა მისი კავშირი მასებთან, შემდგომ განმტკიცდა პარტიის რიგები, პარტიაში მიღებული არიან მოწინავე მუშები და მესაქონლეები, ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები. ყრილობამ ცხადყო, რომ პარტია მონოლითური და ერთიანია ისე, როგორც არასდროს.

ამხ. დამბამ მადლობა გადაუხადა საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, ჩინეთის კომუნისტურ პარტიას, სხვა ქვეყნების კომუნისტურ და მუშათა პარტიებს, რომლებმაც თავიანთი დელეგაციები გაგზავნეს ყრილობაზე, მადლობა გადაიხადა გულთბილი სიტყვებისათვის, რომლებიც გამოთქმულია მისალმებებში მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიისა და მონღოლი ხალხისადმი.

დღეში გაიხსნა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს სესია

დელი. (საკდესი). 22 მარტს აქ გამოქვეყნდა კომუნიკე მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს სესიის გახსნის შესახებ, რომელშიც მონაწილეობენ 29 ქვეყნის წარმომადგენლები.

პირველ სხდომაზე მოსმენილ იქნა ინდოეთის ცნობილი საზოგადო მოღვაწის პანდიტ სუნდერლალის მისასალმებელი სიტყვა. შემდეგ გამოვიდა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ვიცე-პრეზიდენტი იზაბელა ბლუმი (ბელგია), რომელიც შეეხო საერთაშორისო მდგომარეობის ანალიზს.

პირველ სხდომაზე მოგვიდნენ აგრეთვე ფერნან ვინი (საფრანგეთი), ჯეიმს ენდიკოტი (კანადა), გორდონ შაფერი (დიდი ბრიტანეთი) და ვილჰელმ ელფესი (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა).

თავიანთ სიტყვებში ისინი დაწვრილებით შეეხნენ მათ ქვეყნებში განხორციელებულ სხვადასხვა ღონისძიებებს, რომელთა მიზანია განიარაღება, თანაბარის მოწვევა უმაღლეს დონეზე და რომლებიც მიმართულია ატომური საფრთხის წინააღმდეგ. ყველა გამოსულმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მშვიდობისათვის ბრძოლაში ჩაებნენ სხვადასხვა ქვეყნის ახალი ჯგუფები, ორგანიზაციები და ცალკეული მოღვაწეები.

* * *

სესიის მონაწილეები მიიღო ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ჯავაჰარლალ ნერუმ.

საღამოს სრულიად ინდოეთის მშვიდობის საბჭომ მოაწყო დიდი დარბაზობა, რომელსაც დაესწრნენ სესიის მონაწილენი, აგრეთვე ინდოეთის თვალსაჩინო საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწეები.

მეგობრული დახმარება

ჯაკარტა. (საკდესი). 22 მარტს ჯაკარტის ნავსაღგურში საბჭოთა თბომავალ „ალექსანდრე რადიშჩევზე“ ხელი მოაწერეს აქტს იმის შესახებ, რომ ინდონეზიას გადაეცა 10 საბჭოთა გემი, რომელსაც კრედიტით აწვდიან. აქტის ხელმოწერის შემდეგ გაიმართა ალმების გაცვლის ცერემონია.

გამოვიდა რა ცერემონიაზე, საბჭოთა კავშირის ელჩმა ინდონეზიაში დ. ა. ეუკოვმა აღნიშნა, რომ საბჭოთა გემების გაყიდვის კონტრაქტების ხელმოწერა ნიშნავს იმას, რომ დაიწყო ინდონეზიის რესპუბლიკისა და სსრ კავშირის ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის გენერალური შეთანხმების პრაქტიკული განხორციელება.

ინდონეზიის საზღვაო კომუნიკაციების მინისტრმა ნაზირმა მადლობა გადაიხადა იმისათვის, რომ საბჭოთა მთავრობამ შეასაძლებლობა მისცა ინდონეზიას იყიდოს გემები ინდონეზიის გადაუდებელ საჭიროებათა დაკმაყოფილებისათვის. საბჭოთა მთავრობის ეს აქტი, განაცხადა ნაზირმა, კიდევ უფრო განამტკიცებს ჩვენს ქვეყნებს შორის არსებულ მეგობრობას.

ინდონეზიის საგარეო საქმეთა მინისტრმა სუბანდრიომ, რომელიც ცერემონიაზე გამოვიდა, დიდად შეაფასა ის, რომ საბჭოთა კავშირი მზად არის გემები მიაწოდოს ინდონეზიას, რომლებიც გამოყენებული იქნება ინდონეზიის რეკონსტრუქციის საჭიროებისათვის.

მოსკოვში ჩამოვიდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი დ. ჰამარშელდი

23 მარტს ღამით მოსკოვში ჩამოვიდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი დაგ ჰამარშელდი.

ვნუკოვოს აეროდრომზე დ. ჰამარშელდს შეხვდნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი, სსრ კავშირში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხელშემწყობი ასოციაციის ცენტრალური გამგეობის თავმჯდომარე აკადემიკოსი ა. ვ. ტოჰჩიევი და სხვა ოფიციალური პირები.



XX საიუბილეო ჩემპიონატის ალმის აღმართვა თბილისში.

სსრ კავშირის პირველობა „ა“ კლასი

23 მარტს თბილისში, კიევში, კიშინიოვში, ბაქოსა და ოდესაში საზეიმოდ აღმართეს სსრ კავშირის XX საიუბილეო ჩემპიონატის ალმი ფეხბურთში. ბრძოლაში ჩაებნენ „ა“ კლასის გუნდები.

თბილისში თამაშობდნენ მოსკოვის დინამოელები და მათი თბილისელი თანაკლუბელები. გაიმარჯვეს სტუმრებმა ანგარიშით 6 : 1.

კიევის ცენტრალურ სტადიონზე აღგილობრივმა დინამოელებმა მიიღეს ლენინგრადის „ადმირალტეიცი“ (ყოფილი „ავანგარდი“). მასპინძლებმა შეჯიბრება მაღალ სპორტულ დონეზე ჩაატარეს და გაიმარჯვეს 5 : 1.

მძაფრი სპორტული ბრძოლით ხასიათდებოდა მატჩი კიშინიოვში მოსკოვის „სპარტაკისა“ და კიშინიოვის „მოლდოვას“ (ყოფილი „ბურევესტნიკი“) გუნდებს შორის. შეხვედრა დამთავრდა ფრედ 1 : 1..

სსრ კავშირის თასის მფლობელმა მოსკოვის „ლოკომოტივმა“ პირველი კალენდარული შეჯიბრება ფეხბურთში საკავშირო პირველობაზე ჩაატარა ბაქოში სტალინის „მახტაორის“ წინააღმდეგ და მოიგო მატჩი ანგარიშით 3 : 0.

დიდი სპორტული ინტერესი გამოიწვია შეჯიბრებამ ოდესაში. აქ თამაშობდნენ ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უძლიერესი ფეხბურთელთა კოლექტივი მოსკოვის „ტორპედო“ და ლენინგრადის „ზენიტი“. 90-წუთიანი ბრძოლა დამთავრდა ფრედ 0 : 0.

მ. ტოგონიძე — თბილისის ჩემპიონი

დამთავრდა თბილისის პირველობის გათამაშება ჭადრაკში ქალთა შორის. 12,5 ქულით პირველი ადგილი დაიკავა და ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის ჩემპიონი გახდა მ. ტოგონიძე. მ. ტოგონიძესთან ერთად საქართველოს პირველობის გათამაშებაში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს ქ. გოგიავამ, ლ. ხაჭაპურიძემ, მ. ჩომახიძემ, ი. კამენკოვიჩმა და ც. სამსონიამ.

რედაქტორი პ. რატიანი.

ღღეს თბილისის თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — არწვაბერდ (დღისით), ანუშ (საღამოს) — ერევნის სპენდიარიანის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის სპექტაკლები, რუსთაველის სახელობის — კომბლე (დღისით), ნაბიჯვარი (საღამოს) — მუსიკალური კომედიის თეატრის სპექტაკლები, სომხური დრამის — ოქროს ქალაქი (დღისით), სამველ (საღამოს), მოზარდ მაყურებელთა ქართული — გამომგზავრები (11 ს. აბ. № 9), ამქვეყნიური სამოთხე (2 ს. აბ. № 43), მოზარდ მაყურებელთა რუსული — უეცარი სიმდიდრე (5 ს. აბ. № 33), თოჯინების ქართული — თოვლის პაპა (11 ს.), კონსერვატორიის დიდი დარბაზი — ვორონეჟის სახელმწიფო რუსული ხალხური გუნდის კონცერტი (9 ს.).

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ოქტომბერი, ისანი, პლეხანოვის სახელობის კლუბი, ი. ჭავჭავაძის სახელობის კლუბი — დანგრეულ ციტადელი, ამირანი, 26 კომისრის სახელობის (მეორე დარბაზი), საქართველო (წითელი დარბაზი) — ქალიშვილი უმისამართოდ, სპარტაკი — დაბრუნდი სორენტოში, თბილისი — პეტერი, კომკავშირელი, დიდუბე, კომუნარების ბაღი — დარიკო, 26 კომისრის სახელობის (პირველი დარბაზი), საქართველო (მწვანე დარბაზი), ძერჟინსკის სახელობის კლუბი (საზამთრო) — ორლეონოკი.

შვილები ქსენია, მარო, მიშა, რძალი მაშო; სერგო, ნარგიზა, ვასილ, პავლე, ლევან იუწყებიან
ეკატერინე ზაქარიას ასულ გოგაშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 27-III, 6 ს. ქვედა საქარაში (ზესტაფონის რ.).

მამა შალვა, დედა ქრისტინე სირდაძეები; თეო, ნიკოლოზ, იასონ, თამარ, ალექსანდრა, ნათელა ბოჭორიშვილები, ვასილ ფალავანდიშვილი იუწყებიან
ბახო შალვას-ძე სირდაძის
გარდაცვალებას. გამოსვენება 25-III, ღილის 10 საათზე ქ. თბილისის ქალაქის მეორე საავადმყოფოდან, დაკრძალვა სოფელ კვალითში (ზესტაფონის რ.).

შვილები ნელი, შოთა, რძალი ლაურა, და ცაცა, ძმა ანტონ დავითულიანები; ლიდა, ლონგინოზ კიკვიძეები იუწყებიან
მარიამ ვასილის ასულ დავითულიანი-კიკვიძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 28-III სოფ. ქვედა შავრში (ამბროლაურის რ.).

„გლავტორგოდეკის“ საქართველოს რესპუბლიკური სავაჭრო ბაზის თანამშრომლები იუწყებიან
ივლიტა ბარათელის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 25-III სოფ. ლეხაინდრაოში (გეგეჭკორის რ.).

თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის განყოფილების V კურსის სტუდენტები იუწყებიან
ნინო ივანეს ასულ მაისურაძე-რატიშვილის
გარდაცვალებას.

შვილები ივანე, ნიკოლოზ, იასონ, ელენე, რძლები საშა კობეშავიძე, ელენე მელაძე, ანა ანტონოვა, თამარ ჭავჭანიძე, სიძე ე. ნარმანია; მარინე, თეიმურაზ, მიხეილ, ლენა ბულეიშვილები, ლამარა, თენგიზ ნარმანიები იუწყებიან
ივლიანე გიორგის ასულ ბახტაძე-ბულეიშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 27-III სოფ. კონტუათში (წულუკიძის რ.).

შვილები მარო, მარგალიტა, ვენერა, ნაუმი, კორნელი, რძლები ნინო, დარიკო, სიძეები კ. ფაჩუაშვილი, ვ. ჩხეიძე ოჯახებით იუწყებიან
აგრაფინა ალექსის ასულ კიკაჩეიშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 29-III გორა-ჯიხაიშში.

მეუღლე ანა, შვილები შურა, ნინო, ეთერ, კომი, ლეილა, ჰამლეტ, რძლები თამარ, ქუჩუნა შვილებით იუწყებიან
სოლომონ იოსების-ძე არეშიძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 25, 26-III, 8 ს. გამოსვენება 27-III, 4 ს. თარხნიშვილის ქ. № 16.

საქართველოს ზოოტექნიკურ-საცეტერინარო ინსტიტუტის დირექცია, პედკოლექტივი და ტექნიკური პერსონალი იუწყებიან
ოლიმპიადა ილიას ასულ ლოლაძე-ამაშუკელის
გარდაცვალებას.

საქართველოს სსრ მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის მუშაკები იუწყებიან ამავე ინსტიტუტის თანამშრომლის
ანასტასია ვასილის ასულ მაჭავარიანის
გარდაცვალებას. გამოსვენება 25-III, 5 ს. კალინინის ქ. № 74.

თბილისის მე-12 საშუალო სკოლის დირექცია და პედკოლექტივი იუწყებიან
პისტი ივანეს ასულ დოლიძის
გარდაცვალებას.

დედა ალექსანდრა, მეუღლე მარგო, ძმა გრიგოლ, და ვარა, რძალი ლილი, სიძე ი. ჩანტლაძე შვილებით იუწყებიან
ვლადიმერ სერგოს-ძე დევდარიანის
გარდაცვალებას. პანაშვიდი 25, 26-III, 8 ს. გამოსვენება 27-III, 4 ს. კერესელიძის ქ. № 7.

მეუღლე თამარ, შვილები დიმიტრი, გივი, იზა, რძლები ელენე, ანა, სიძე შოთა იუწყებიან
იოსებ სიმონის-ძე ზარიძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 25-III, 4 ს. გურჯაანში, გამოსვენება ყაზბეგის ქ. № 2.

მეუღლე ესმა, შვილები სერაპიონ, ევენია, ალექსანდრა, მანია, რძალი მარიამ, სიძე დ. ხუბაშვილი ოჯახით იუწყებიან
თომა ზაქარიას-ძე ქევანიშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 27-III სოფ. ნაესაკოვოში (აბაშის რ.).

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის — 3-62-26 რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80, სამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და ძარცხისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-29-43, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელისა და პრესის მიმოხილვის — 3-57-61, ადგილობრივი ინფორმაციის — 3-39-46, უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილებისა და პარტბიუროსი — 3-73-24, ხაილუსტრაციო — 3-08-67, განცხადებების მიღების — 3-64-42, გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობის დირექტორის — 3-65-41, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

00697 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14. 7